



# სახელმძღვანელო დოკუმენტი

გარემოსდაცვითი მიზნების დადგენისა და  
გამონაკლისების დაშვების პირობების შესახებ

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი  
„მმართველობა განვითარებისათვის“

2018 წლის ოქტომბერი

ამ ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით გაწეული დახმარების შედეგად. მის შინაარსზე პასუხისმგებელია „დელოიტ ქონსალტინგი“. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოზიციას.

# სახელმძღვანელო დოკუმენტი

## გარემოსდაცვითი მიზნების დადგენისა და გამონაკლისების დაშვების პირობების შესახებ

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი „მმართველობა  
განვითარებისათვის“

კონტრაქტის ნომერი: : AID-114-C-14-00007

„დელოიტ კონსალტინგი“

USAID-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო | საქართველო

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საკონტრაქტო ოფიცრის

წარმომადგენელი: რევაზ ორმოცაძე

ავტორი(ები): GEORGIA'S ENVIRONMENTAL OUTLOOK (GEO)

სამუშაო გეგმა: წყლის რესურსების მართვა 3600

ენა: ქართული

2018 წლის 17 ივნისი

შენიშვნა:

ამ ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ ამერიკის  
შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით  
გაწეული დახმარების შედეგად. მის შინაარსზე პასუხისმგებელია „დელოიტ კონსალტინგი“.   
დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს USAID-ის ან ამერიკის  
შეერთებული შტატების მთავრობის პოზიციას.

# მონაცემები

რედაქტორი:

პროექტის  
კომპონენტი: წყლის რესურსების მართვა

სფერო: წყლის რესურსების მართვა

საკვანძო  
სიტყვები: წყლის ჩარჩო დირექტივა, სახელმძღვანელო დოკუმენტი,  
გარემოსდაცვითი მიზნები, ღონისძიებათა პროგრამა, წყლის  
რესურსების მართვის მნიშვნელოვანი საკითხები,  
განხორციელების საერთო სტრატეგია

## აკრონიმები

AWB	წყლის ხელოვნური ობიექტი
CBA	ხარჯსარგებლიანობის ანალიზი
CEA	ხარჯეფექტიანობის ანალიზი
CIS	„წყლის ჩარჩო დირექტივის“ განხორციელების საერთო სტრატეგია (დოკუმენტები)
DrWPA	სასმელი წყლის დაცული ტერიტორია
EQR	ეკოლოგიური ხარისხის კოეფიციენტი
EQS	გარემოსდაცვითი ხარისხის სტანდარტი
EU	ევროკავშირი
GD	სახელმძღვანელო დოკუმენტი
GEP	კარგი ეკოლოგიური პოტენციალი
GES	კარგი ეკოლოგიური სტატუსი
GIS	გეოინფორმაციული სისტემა
G4G	მმართველობა განვითარებისათვის საქართველოში
HES	მაღალი ეკოლოგიური სტატუსი
HMWB	წყლის ძლიერად სახეცვლილი ობიექტი
HMQE	ხარისხის ჰიდრომორფოლოგიური ელემენტები
MEP	მაქსიმალური ეკოლოგიური პოტენციალი
NVZ	ნიტრატების მიმართ მგრძობიარე ზონა
RBD	მდინარის აუზის რაიონი
RBMP	მდინარის სააუზო მართვის გეგმა
USAID	აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო
UWWT	დირექტივა ურბანული ნარჩენი წყლების გაწმენდის შესახებ
WFD	წყლის ჩარჩო დირექტივა

# შინაარსი

რეზიუმე.....	9
შესავალი.....	10
წინაპირობები.....	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
წყლის ძლიერად სახეცვლილ ან ხელოვნური ობიექტების იდენტიფიცირება და განსაზღვრა .....	17
გარემოსდაცვითი მიზნების დადგენა.....	24
<b>ნაგულისხმევი მიზნები .....</b>	<b>25</b>
სტატუსის გაუარესების თავიდან აცილების და კარგი სტატუსის მიღწევის მიზნები .....	25
დაცული ტერიტორიების მიზნები.....	26
<b>ალტერნატიული მიზნები.....</b>	<b>30</b>
ვადების გახანგრძლივებისა და ნაკლებად მკაცრი მიზნების დასადგენად საჭირო შემოწმება.....	33
ვადების გახანგრძლივება .....	36
ნაკლებად მკაცრი მიზნების დასახვა.....	37
გახანგრძლივებული ვადებისა და ნაკლებად მკაცრი მიზნების გამოყენებასთან დაკავშირებული ცალკეული შეზღუდვები.....	38
ლონისძიებების კომბინაცია და მიზნების განსაზღვრა.....	39
<b>ვადების გახანგრძლივების მაგალითები .....</b>	<b>40</b>
მაგალითი 1 - მორფოლოგია - ფიზიკური ცვლილება .....	40
მაგალითი 2 - ნარჩენი წყლის გამწმენდი ნაგებობების ჩამდინარე წყლები .....	41
მაგალითი 3 - კარიერები და დაბინძურებული ტეროტორიები (მიწისქვეშა წყლების დაბინძურება).....	41
მაგალითი 4 - სოფლის მეურნეობა: ფოსფორის გაჟონვა.....	42
მაგალითი 5 - • ქიმიური დაბინძურება და ქიმიური სტატუსის დაქვეითება .....	43
მაგალითი 6 - საერთო სტატუსის გაუარესება (ახალი ცვლილება).....	44
დანართი 1. „წყლის ჩარჩო დირექტივის“ მუხლი 4, რომელიც ეხება ალტერნატიულ მიზნებს.....	47
დანართი 2. ადამიანის მიერ გამოსაყენებლად განკუთვნილი წყლის გარემოსდაცვითი ხარისხის სტანდარტები .....	50
დანართი 3. „წყლის ჩარჩო დირექტივის“ დანართი, რომელიც ეხება დაცულ ტერიტორიებს.....	54

## ტერმინები და განმარტებები

წინამდებარე სახელმძღვანელო დოკუმენტში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები შესაბამისი მნიშვნელობით:

**წყლის ხელოვნური ობიექტი** - ადამიანის საქმიანობის შედეგად შექმნილი ზედაპირული წყლის ობიექტი, მაგ., არხი.

**ქიმიური სტატუსი** - ქიმიური სტატუსი აღწერს, არის თუ არა წყალში იმ გარკვეული ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხო დონე, რომლებიც ევროკავშირის მიდგომების მიხედვით იდენტიფიცირებულია, როგორც მნიშვნელოვანი რისკის შემცველი წყლის გარემოსათვის.

**კლასიფიკაციის სისტემა** - „წყლის ჩარჩო დირექტივის“ მოთხოვნების შესაბამისად წყლის ობიექტის სტატუსის შეფასების ტექნიკური პროცედურა.

**ეკოლოგიური პოტენციალი** - წყლის ძლიერად სახეცვლილი ან წყლის ხელოვნური ობიექტის სტატუსი.

**ეკოლოგიური ხარისხის კოეფიციენტი (EQR)** - დამოკიდებულება ზედაპირული წყლის მოცემულ ობიექტში არსებული ბიოლოგიური პარამეტრების მნიშვნელობებსა და აღნიშნული ობიექტის შესაბამისი საბაზისო (რეფერენსული) პირობების პარამეტრების მნიშვნელობებს შორის. კოეფიციენტი წარმოადგენს 0-დან 1-მდე სიდიდის რიცხვს. ერთთან მიახლოებული მნიშვნელობა მიუთითებს მაღალ ეკოლოგიურ სტატუსზე, ხოლო ნულთან მიახლოებული მნიშვნელობა - ძალიან ცუდ ეკოლოგიურ სტატუსზე.

**ეკოლოგიური სტატუსი** - ზედაპირული წყლის ობიექტთან დაკავშირებული წყლის ეკოსისტემების სტრუქტურისა და ფუნქციონირების ხარისხის გამოხატულება. ეკოლოგიური სტატუსის შეფასებაში გამოიყენება როგორც ბიოლოგიური ხარისხის ელემენტები, ასევე დამატებით ჰიდრომორფოლოგიური და ფიზიკურ-ქიმიური ხარისხის ელემენტები.

**გარემოსდაცვითი მიზნები** განსაზღვრულია „წყლის ჩარჩო დირექტივაში“, ძირითადად მუხლი 4 §1-ში.

**გარემოსდაცვითი ხარისხის სტანდარტი (EQS)** - ადგენს გარემოში წყლის ხარისხის ელემენტის სავალდებულო კონცენტრაციას ან გავრცელების ზღვრებს.

**გარემოსდაცვითი მიზნების დადგენის დროს გამონაკლისების დაშვება** - წარმოადგენს წყლის ჩარჩო დირექტივის მუხლი 4-ში განსაზღვრული გარემოსდაცვითი მიზნებისა და დაგეგმვის პროცესის შემადგენელ ნაწილს.

**კარგი ეკოლოგიური პოტენციალი** - წყლის ძლიერად სახეცვლილი ან ხელოვნური ობიექტის სავალდებულო სტატუსი.

**კარგი სტატუსი** - სტატუსი, რომელსაც აღწევს ზედაპირული წყლის ობიექტი, როდესაც მისი ეკოლოგიური სტატუსი და ქიმიური სტატუსი არის, მინიმუმ, 'კარგი'.

**მიწისქვეშა წყლის სტატუსი** - მიწისქვეშა წყლის ობიექტის სტატუსი, რომელიც განისაზღვრება რაოდენობრივი და ქიმიური სტატუსებიდან უარესის მიხედვით.

**მიწისქვეშა წყლის კარგი სტატუსი** - სტატუსი, რომელსაც აღწევს მიწისქვეშა წყლის ობიექტი, როდესაც მისი რაოდენობრივი სტატუსი და ქიმიური სტატუსი არის, მინიმუმ, 'კარგი'.

**წყლის ძლიერად სახეცვლილი ობიექტი** - ზედაპირული წყლის ობიექტი, რომლის თვისებები ადამიანის საქმიანობის შედეგად მნიშვნელოვნად არის შეცვლილი.

**მაღალი სტატუსი** - სტატუსი, რომელსაც აღწევს ზედაპირული წყლის ობიექტი, იმ შემთხვევაში, თუ მის ფიზიკურ-ქიმიური და ჰიდრომორფოლოგიური ხარისხის ელემენტებზე არ აღინიშნება ანთროპოგენური ცვლილებები, ან აღნიშნული ცვლილებები უმნიშვნელოა და ბიოლოგიური ხარისხის ელემენტები არ ავლენენ გაუარესების ნიშნებს, ან აღნიშნული ნიშნები უმნიშვნელოა.

**ნაკლებად მკაცრი მიზანი** - „კარგ სტატუსთან“ მიახლოებული დონე, რომლის მიღწევაც შესაძლებელია იმ ზემოქმედებების გათვალისწინებით, რომელთა აცილება შეუძლებელია ან შესაძლებელია არათანაზომიად მვირადღირებული ზომებით.

**მაქსიმალური ეკოლოგიური პოტენციალი** - მდგომარეობა, რომლის დროსაც „შესაბამისი ბიოლოგიური ხარისხის ელემენტების მნიშვნელობები მაქსიმალურად ასახავენ შედარების თვალსაზრისით მათთან ყველაზე ახლოს მდგომი ზედაპირული წყლის ობიექტის ბიოლოგიური ხარისხის ელემენტების მნიშვნელობებს იმ ფიზიკური პირობების გათვალისწინებით, რომლებიც განპირობებულია მოცემული წყლის ობიექტის ხელოვნური ან ძლიერად სახეცვლილი მახასიათებლებით“.

**ეკოლოგიური სტატუსის კლასიფიკაციის ნორმატიული განსაზღვრებები** - ხარისხის სხვადასხვა ელემენტებისათვის „წყლის ჩარჩო დირექტივის“ დანართი V-ში წარმოდგენილი მაღალი, კარგი და ზომიერი ეკოლოგიური სტატუსის ზოგადი განმარტებები, რომლებიც ერთობლიობაში ზედაპირული წყლის ობიექტის ეკოლოგიურ სტატუსს განსაზღვრავენ.

**სააუზო უბანი** - ხმელეთისა და ზღვის ტერიტორიას, რომელიც შედგება ერთი ან ერთზე მეტი მიმდებარე მდინარეების აუზებისგან, მათთან დაკავშირებულ მიწისქვეშა და სანაპირო წყლებთან ერთად და წარმოადგენს მდინარის სააუზო მართვის ძირითად ერთეულს.

**ზედაპირული წყალი** - წარმოადგენს ყველა შიდა წყალს, მიწისქვეშა წყლის გამოკლებით და მოიცავს გარდამავალ და სანაპირო წყლებსაც; ქიმიურ სტატუსთან მიმართებით დირექტივის მიზნებიდან გამომდინარე, ტერიტორიული წყლებიც ასევე ზედაპირულ წყლებად ითვლება.

**ზედაპირული წყლის სტატუსი** - ზედაპირული წყლის ობიექტის სტატუსი, რომელიც განისაზღვრება ეკოლოგიური და ქიმიური სტატუსებიდან უარესის მიხედვით.

**წყლის ობიექტი** - მდინარის აუზის (რაიონის) ნაწილი (დადგენილი საზღვრების მქონე) ქვე-ერთეული, რომელზეც ვრცელდება დირექტივის გარემოსდაცვითი მიზნები. აქედან გამომდინარე, „წყლის ობიექტების“ იდენტიფიცირების მთავარ მიზანს წყლის ობიექტის სტატუსის ზუსტად აღწერისა და გარემოსდაცვით მიზნებთან მისი შედარების უზრუნველყოფა წარმოადგენს.

**წყლის დაცული ზონა** - თითოეული მდინარის აუზის უბანზე მდებარე ტერიტორიები, რომლებიც საჭიროებენ საგანგებო დაცვას, მათი ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ან წყალთან უშუალოდ დაკავშირებული ჰაბიტატებისა და სახეობების დაცვისთვის. მათ შორის ტერიტორია, რომელიც განკუთვნილია წყალაღებისთვის მოსახლეობის წყალმომარაგების მიზნით, ეკონომიკურად მნიშვნელოვანი წყლის სახეობების დაცვისთვის, აგრეთვე, სარეკრეაციო ტერიტორია და ბიოგენური ნივთიერებების მიმართ მოწყვლადი ტერიტორია.





## რეზიუმე

„წყლის ჩარჩო დირექტივა“ წყლის გარემოსათვის სხვადასხვა გარემოსდაცვით მიზნებს ადგენს. მდინარეთა სააუზო მართვის დაგეგმვისთვის აუცილებელია მიზნების სწორად განსაზღვრა, იმის დასადგენად, თუ აღნიშნული გარემოსდაცვითი მიზნებიდან რომელი მიესადაგება წყლის ამა თუ იმ წყლის ობიექტს. სხვადასხვა მიზნების დასახვის შესაძლებლობა მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის ციკლების განმავლობაში საშუალებას იძლევა წყლის გარემოს გაუმჯობესებისაკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება მოხდეს ეტაპობრივად, მათი პრიორიტეტულობის მიხედვით, განხორციელებისა და ამავე დროს გადაწყვეტილების მიღების პროცესში წყალმოსარგებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესების სათანადოდ გათვალისწინებით.

წინამდებარე სახელმძღვანელო დოკუმენტში წარმოდგენილია მიზნების დადგენის ცალკეული პრინციპები და შეფასების პროცედურები. დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია „წყლის ჩარჩო დირექტივის“ იმ დებულებებზე, რომლებიც ეხება კარგი სტატუსის მისაღწევად მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის პირველი ციკლის ვადების გახანგრძლივებას (მუხლი 4.4) და კარგ სტატუსთან შედარებით ნაკლებად მკაცრი მიზნების განსაზღვრას (მუხლი 4.5), ბუნებრივი ან ფორს მაჟორული გარემოებების (მუხლი 4.6) და ახალი მოდიფიკაციების და ნაგებობების გამო (მუხლი 4.7).

აღნიშნულ კონტექსტში წარმოდგენილია „წყლის ჩარჩო დირექტივის“ მუხლი 4-ის გამოყენების რამდენიმე მაგალითი.

## შესავალი

„წყლის ჩარჩო დირექტივის“ გარემოსდაცვითი მიზნები წარმოადგენს წყლის რესურსებთან დაკავშირებულ ევროკავშირის კანონმდებლობის საფუძველს, რომელიც უზრუნველყოფს წყლის რესურსების ხანგრძლივადიან მდგრად მართვას, რომელიც უზრუნველყოფილია წყლის გარემოს მაღალ დონეზე დაცვით. აღნიშნული მიზნების მიღწევა უდიდეს წვლილს შეიტანს ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვაში. თუმცა, ამავე დროს, გასათვალისწინებელია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი სოციალურ და ეკონომიკური შედეგები.

„წყლის ჩარჩო დირექტივის“ მიხედვით სავალდებულო კარგი სტატუსის მიღწევა მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის პირველი ციკლის დასრულებამდე ყოველთვის არ არის შესაძლებელია. ამიტომ, იმ შემთხვევაში, როდესაც კარგი სტატუსის მისაღწევად საჭირო ღონისძიებები ტექნიკურად არ არის განხორციელებადი ან არათანაზომიად და ძვირადღირებულია, შესაძლებელია ალტერნატიული მიზნების განსაზღვრა. „წყლის ჩარჩო დირექტივა“ არის ევროკავშირის პირველი დირექტივა, რომელიც იძლევა რისკზე დამყარებული მიდგომის გამოყენების შესაძლებლობას, რომლის დროსაც ღონისძიებების განხორციელება შეიძლება მოსალოდნელი შედეგისა და ხარჯების შესაბამისად.

წინამდებარე სახელმძღვანელო დოკუმენტში აღწერილია „წყლის ჩარჩო დირექტივით“ განსაზღვრული მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის ციკლების ფარგლებში კარგი სტატუსის მისაღწევად ალტერნატიული მიზნების დასახვის პრინციპები და მიდგომა. ეს სახელმძღვანელო დოკუმენტი ემყარება „წყლის ჩარჩო დირექტივის“ მოთხოვნებს, ამ დირექტივის განხორციელების საერთო სტრატეგიის (C.I.S.) სახელმძღვანელო დოკუმენტ #20-ს „გარემოსდაცვით მიზნებიდან გამონაკლისების დაშვების პირობების შესახებ“ (2009 წ.), განხორციელების საერთო სტრატეგიის (C.I.S.) სახელმძღვანელო დოკუმენტ N36-ს „მუხლი 4(7)-ის შესაბამისად გარემოსდაცვით მიზნებიდან გამონაკლისების დაშვების პირობების შესახებ“ (2017 წ.) და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში გარემოსდაცვითი მიზნების განსაზღვრის გამოცდილებას.

## ვისთვის არის განკუთვნილი სახელმძღვანელო დოკუმენტი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, დაეხმაროს ექსპერტებსა და დაინტერესებულ მხარეებს „წყლის ჩარჩო დირექტივის“ განხორციელების პროცესის წარმართვაში. დოკუმენტი ძირითადად ეხება „წყლის ჩარჩო დირექტივის“ გარემოსდაცვით მიზნების დადგენას და ყურადღება გამახვილებულია მათ სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტებზე (ვადების გახანგრძლივება, ეკონომიკური შეფასება, და სხვ.). დოკუმენტი დაეხმარება გადაწყვეტილებების მიმღებ პირებსა და წყლის რესურსების ექსპერტებს შემდეგი ორგანიზაციებიდან და ჯგუფებიდან:

- წყლის რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სამინისტრო;
- მდინარეთა სააუზო მართვის გეგმების მომზადებაზე პასუხისმგებელი უწყებები;
- სააუზო მართვის ორგანოები;
- წყალმოსარგებლები;
- წყლის დაცული ზონების სააგენტოები (ეროვნული პარკები, ბუნების დაცვის სამსახურები, წყალმომარაგების სამსახურები, და სხვ.);
- წყალსამეურნეო ეკონომიკური დარგები.

## რას გავეცნობით სახელმძღვანელო დოკუმენტში

დოკუმენტში წარმოდგენილია:

- მდინარის სააუზო მართვის გეგმების გარემოსდაცვითი მიზნების კონცეფციებისა და ტერმინების აღწერა;
- სავალდებულო და ალტერნატიული მიზნების დასახვის პრინციპები და მეთოდები;
- წყლის დაცული ზონების კონკრეტული მიზნები;
- გახანგრძლივებული ვადებისა და ნაკლებად მკაცრი მიზნების მიმოხილვა;
- „წყლის ჩარჩო დირექტივის“ მუხლი 4-ის მიხედვით გამონაკლისების დაშვების რამდენიმე მაგალითი.

## ზოგადი მიმოხილვა

გარემოსდაცვითი მიზნები და გამონაკლისების დაშვების პირობები განსაზღვრულია „წყლის ჩარჩო დირექტივის“ მუხლი 4-ში. სახელმძღვანელო დოკუმენტი N20 “გარემოსდაცვით მიზნებთან დაკავშირებული გამონაკლისების დაშვების პირობების შესახებ” გვახსენებს „წყლის ჩარჩო დირექტივის“ იმ მოთხოვნებს, რომლებიც დაკავშირებულია გარემოსდაცვით მიზნებსა და გამონაკლისების დაშვების პირობებთან, მათ შორის განსაკუთრებული შემთხვევების ინტერპრეტირების ძირითად საკითხებს.

„წყლის ჩარჩო დირექტივის“ მუხლი 4.1-ში წარმოდგენილია „გარემოსდაცვითი მიზნები“-ის დადგენის ძირითადი პრინციპები. შესაბამისად განხორციელების საერთო სტრატეგიის (C.I.S.) „გარემოსდაცვით მიზნებიდან გამონაკლისების დაშვების პირობების შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტი N20“-ის თანახმად, ადგენს რომ დირექტივაში წარმოდგენილი ძირითადი გარემოსდაცვითი მიზნები მრავალფეროვანია და შეიცავს შედეგ პირობებს (დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. მუხლი 4.1, (ა) ზედაპირული წყლები, (ბ) მიწისქვეშა წყლები და (გ) წყლის დაცული ზონები), როგორც სავალდებულო მიზნების ზოგად პრინციპებს:

- ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების სტატუსის გაუარესების დაუშვებლობა და წყლის ობიექტების დაცვა, გაჯანსაღება და აღდგენა;
- მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის პირველი ციკლის დასასრულისთვის კარგი სტატუსის მიღწევა, ანუ კარგი ეკოლოგიური სტატუსის (ან პოტენციალის) და კარგი ქიმიური სტატუსის მიღწევა ზედაპირული წყლების შემთხვევაში და კარგი ქიმიური და კარგი რაოდენობრივი სტატუსის - მიწისქვეშა წყლების შემთხვევაში;
- პრიორიტეტული ნივთიერებებით დაბინძურების პროგრესული შემცირება, ზედაპირულ წყლებში პრიორიტეტული ნივთიერებების ეტაპობრივად აღმოფხვრა და მიწისქვეშა წყლებში დამბინძურებლების მოხვედრის თავიდან აცილება და შემცირება;
- მიწისქვეშა წყლებში დამბინძურებლების რაოდენობის ზრდის მნიშვნელოვანი აღმავალი ტენდენციის შეცვლა;
- ევროკავშირის კანონმდებლობით დაცული ტერიტორიებისთვის დადგენილი სტანდარტებისა და მიზნების შესრულება.

*იმ შემთხვევაში, როდესაც წყლის კონკრეტულ ობიექტს ერთზე მეტი მიზანი შეესაბამება, მასზე ყველაზე მკაცრი მიზანი ვრცელდება (მუხლი 4.2) მიუხედავად იმისა, რომ ყველა მიზანი სავალდებულოდ შესასრულებელია.*

„წყლის ჩარჩო დირექტივის“ მუხლი 4 ასევე ადგენს ვადებს გარემოსდაცვითი მიზნების მიღწევისათვის და გამონაკლისებისათვის (ვადების ცვლილება და ნაკლებად მკაცრი მიზნები). როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გარემოსდაცვითი მიზნების დადგენისას გამონაკლისების დაშვება შესაძლებელია მხოლოდ დასაბუთების შემთხვევაში. „წყლის ჩარჩო დირექტივის“ თანახმად, არსებობს ოთხი სახის განსაკუთრებული შემთხვევა, რომლებზეც შეიძლება გამონაკლისების დაშვება და ალტერნატიული მიზნები გავრცელება (იხ. სახელმძღვანელო დოკუმენტის დანართი 1).

- პირველი ვარიანტია ვადების გახანგრძლივება („წყლის ჩარჩო დირექტივის“ მუხლი 4.4), რომლის მიხედვითაც შესაძლებელია წყლის ობიექტის კარგი სტატუსი უზრუნველყოფილ იქნეს არა მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის პირველი ციკლის დასასრულს, არამედ მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის მეორე ციკლისათვის ან მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის მესამე ციკლისათვის ან მაქსიმალურად მოკლე ვადებში (ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე). „წყლის ჩარჩო დირექტივის“ მუხლი 4.4-ის მიხედვით განსაზღვრულია ამ შემთხვევაში გამონაკლისის დაშვების პირობები (იხ. დანართი 1):

ა) წყლის ობიექტის კარგი სტატუსის მიღწევა გონივრულად შეუძლებელია მოცემულ ვადებში ტექნიკური მოსაზრებების (არ არსებობს მიზნის მისაღწევად საჭირო ტექნიკური საშუალებები, ან პრობლემის გამომწვევი მიზანი უცნობია; შესაბამისად შეუძლებელია პრობლემის გადაჭრის გზის იდენტიფიცირება); არათანაზომიად მაღალი ხარჯების (პროექტის, ან იმ ღონისძიებების ღირებულება, რომლებიც უნდა განხორციელდეს კარგი სტატუსის უზრუნველსაყოფად, არათანაზომიად მაღალია), ან ბუნებრივი პირობების (ბუნებრივი გარემოს რეაგირებისთვის საჭირო პერიოდი არ იძლევა დადგენილ ვადებში მიზნის მიღწევის შესაძლებლობას).

ბ) დასაბუთება წარმოდგენილი უნდა იყოს მდინარის სააუზო მართვის გეგმაში.

გ) ვადების გახანგრძლივება შესაძლებელია მხოლოდ მდინარის სააუზო მართვის გეგმის მაქსიმუმ ორჯერ განახლებით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვადები ბუნებრივი პირობებით არის განსაზღვრული.

დ) მდინარის სააუზო მართვის გეგმა უნდა შეიცავდეს ღონისძიებების დეტალურ პროგრამას და მათი განხორციელების გრაფიკს.

- მეორე ვარიანტს ნაკლებად მკაცრი გარემოსდაცვითი მიზნების დადგენა წარმოადგენს („წყლის ჩარჩო დირექტივის“ მუხლი 4.5). ეს დასაშვებია გარკვეულ შემთხვევებში (იმ შემთხვევაში, როდესაც წყლის ობიექტები იმყოფებიან იმდენად ძლიერი ანთროპოგენური ზემოქმედების ქვეშ, ან მათი ბუნებრივი მდგომარეობა ისეთია, რომ ამ მიზნების მიღწევა შეუძლებელი იქნება) და როდესაც წყლის ობიექტისათვის აუცილებელია მკაცრი პირობების მიღწევა და დასაბუთება წარმოდგენილია მდინარის სააუზო მართვის გეგმაში:

ა) წყლის ობიექტზე ადამიანის არსებული საქმიანობის გამო სათანადო გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ვერ მიიღწევა სხვა ისეთი ღონისძიებით, რომელიც გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მნიშვნელოვნად უკეთესია და, არ არის დაკავშირებული არათანაზომად ხარჯებთან.

ბ) ზედაპირული წყლების შემთხვევაში უმაღლესი ეკოლოგიური და ქიმიური სტატუსის მიღწევა შესაძლებელია იმ ზემოქმედებების პირობებში, რომელთა აცილება გონივრულად შეუძლებელია ადამიანის საქმიანობის ხასიათიდან ან დაბინძურებიდან გამომდინარე;

გ) მიწისქვეშა წყლების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება მიწისქვეშა წყლების კარგი სტატუსის მინიმალური ცვლილება იმ ზემოქმედებების პირობებში, რომელთა აცილება გონივრულად შეუძლებელია ადამიანის საქმიანობის ხასიათიდან ან დაბინძურებიდან გამომდინარე;

დ) ზემოქმედების ქვეშ მოქცეული წყლის ობიექტის სტატუსის შემდგომ გაუარესებას ადგილი არ აქვს;

ე) ნაკლებად მკაცრი გარემოსდაცვითი მიზნები და შესაბამისი მიზნები აღწერილია მუხლი 13-ის თანახმად მომზადებულ მდინარის სააუზო მართვის გეგმაში, ხოლო მიზნების გადახედვა ყოველ 6 წელიწადში ერთხელ ხდება.

- მესამე შესაძლებლობას ბუნებრივი მიზეზებით შექმნილი ან ფორს მაჟორული გარემოებების დროს სტატუსის დროებითი გაუარესების დაშვება წარმოადგენს („წყლის ჩარჩო დირექტივის“ მუხლი 4.6). ეს განსაკუთრებული პირობა ძალიან განსახვავდება პირველი პირობისაგან (ვადების ცვლილება), ვინაიდან ის ითვალისწინებს ისეთ გარემოებებს, რომელთა „დასაბუთებულად პროგნოზირება შეუძლებელი იყო“ (ძლიერი წყალდიდობები, ხანგრძლივი გვალვები და გარკვეული მოვლენების შედეგად შექმნილი გარემოებები), ხოლო პირველი პირობა ითვალისწინებს ტექნიკურ მოსაზრებებს, ხარჯების არათანაზომადობას ან ბუნებრივ პირობებს.
- გამონაკლისის დაშვების მეოთხე მიზეზს ზედაპირული წყლის ობიექტის ფიზიკური მახასიათებლების, ან მიწისქვეშა წყლის ობიექტების დონის ცვლილების ან ადამიანის ახალი საქმიანობით გამოწვეული ახალი ზემოქმედება წარმოადგენს („წყლის ჩარჩო დირექტივის“ მუხლი 4.7). „წყლის ჩარჩო დირექტივის“ თანახმად შესრულებული უნდა იყოს ოთხი პირობა: მიღებულია ყველა პრაქტიკული ზომა წყლის ობიექტის სტატუსზე უარყოფითი ზემოქმედების შესარბილებლად; ცვლილებების მიზეზები აღწერილია სააუზო მართვის გეგმაში და ცვლილებების მიზეზი უპირატეს საზოგადოებრივ ინტერესში მდგომარეობს; და ამ ცვლილებებით უზრუნველყოფილი სარგებლის სხვა საშუალებებით მიღება შეუძლებელია.
- და ბოლოს, წყლის ძლიერად სახეცვლილი და ხელოვნური ობიექტების იდენტიფიცირებისა და განსაზღვრის სახელმძღვანელო დოკუმენტი N4-ის თანახმად, *შესაძლოა უფრო ეფექტიანი იყოს ძლიერად სახეცვლილი და ხელოვნური წყლის ობიექტების დედგენის პროცესის წარმართვა წყლის ბუნებრივი და ძლიერად სახეცვლილი და ხელოვნური ობიექტებისათვის ნაკლებად მკაცრი გარემოსდაცვითი მიზნების (მუხლი 4(5)) დადგენის პროცესთან პარალელურად, რომელიც იგივე სახის პირობებს ითვალისწინებს (მაგ., ხარჯების არათანაზომადობა).*

„წყლის ჩარჩო დირექტივის“ მუხლი 4(3)-ის თანახმად, წყლის ძლიერად სახეცვლილი ან ხელოვნური ობიექტები (შესაბამისი დასაბუთებით იდენტიფიცირებული), მუხლი 13-ის მიხედვით მომზადებულ მდინარის სააუზო მართვის გეგმაში უნდა იქნეს წარმოდგენილი. აღნიშნული ძლიერად სახეცვლილი წყლის ობიექტები უნდა დადგინდეს მდინარის სააუზო მართვის პირველ გეგმაში, რომლის გადახედვა 6 წელიწადში ერთხელ მოხდება.





# ძლიერად სახეცვლილი ან ხელოვნური წყლის ობიექტების იდენტიფიცირება და განსაზღვრა

ძლიერად სახეცვლილი (HMWB) და ხელოვნური (AWB) წყლის ობიექტების იდენტიფიცირებისა და განსაზღვრის სახელმძღვანელო დოკუმენტი N4-ის (EC, 2003-4) თანახმად:

ზედაპირული წყლების შემთხვევაში „წყლის ჩარჩო დირექტივის“ მთავარ მიზანს წარმოადგენს ზედაპირული წყლების ყველა ობიექტის „კარგი ეკოლოგიური და ქიმიური სტატუსის მიღწევა“ მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის პირველი ციკლის დასასრულისთვის. ზოგიერთ ობიექტზე ამ მიზნის მიღწევა სხვადასხვა მიზეზის გამო შეუძლებელია. გარკვეულ პირობებში, „წყლის ჩარჩო დირექტივა“ იძლევა წყლის ხელოვნური ობიექტების და წყლის ძლიერად სახეცვლილი ობიექტების განსაზღვრის შესაძლებლობას „წყლის ჩარჩო დირექტივის“ მუხლი 4(3)-ის შესაბამისად.

წყლის ძლიერად სახეცვლილი ობიექტები (HMWB) წარმოადგენენ წყლის ისეთ ობიექტებს, რომლებსაც, ადამიანის საქმიანობით გამოწვეული ფიზიკური ცვლილებების შედეგად, მნიშვნელოვნად აქვთ შეცვლილი საკუთარი თვისებები და, შესაბამისად, არ შეუძლიათ „კარგი ეკოლოგიური სტატუსის“ მიღწევა. წყლის ხელოვნური ობიექტები (AWB) წარმოადგენენ ადამიანის მიერ შექმნილ წყლის ობიექტებს. სახელმძღვანელო დოკუმენტის მიხედვით, წყლის ხელოვნური ობიექტი არის „ზედაპირული წყლის ობიექტი, რომელიც შექმნილია ისეთ ადგილზე, სადაც ადრე წყლის ობიექტი არ იყო და რომელიც არ არის შექმნილი წყლის არსებული ობიექტის ფიზიკური ცვლილების ან გადაადგილების ან საზღვრების შეცვლის შედეგად“. წყლის ძლიერად სახეცვლილი ობიექტებისა (HMWB) და წყლის ხელოვნური ობიექტებისათვის (AWB) გარემოსდაცვით მიზანს „კარგი ეკოლოგიური სტატუსის“ ნაცვლად, კარგი ეკოლოგიური პოტენციალი წარმოადგენს, რომელიც მიღწეულ უნდა იქნეს მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის პირველი ციკლის დასასრულისთვის.

წყლის ჩარჩო დირექტივის მუხლი 4(3)(ა) განსაზღვრავს საქმიანობის იმ სახეებს, რომლებიც შესაძლოა გახდეს მიზეზი იმისა, რომ წყლის ობიექტი განისაზღვროს წყლის ძლიერად სახეცვლილ ობიექტად (HMWB) ან წყლის ხელოვნურ ობიექტად (AWB):

- ნაოსნობა, საპორტო ობიექტების ჩათვლით, ან რეკრეაცია;
- საქმიანობა, რომლისთვისაც ხდება წყლის დაგროვება: ენერგეტიკა ან ირიგაცია;
- წყლის რეგულირება, წყალდიდობებისგან დაცვა, მიწის დაშრობა;
- სხვა თანაბრად მნიშვნელოვანი მდგრადი საქმიანობა


განხორციელების საერთო სტრატეგიის (CIS) სახელმძღვანელო დოკუმენტი N4-ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს აღნიშნულ მიდგომას და გამოყენებულია წინამდებარე სახელმძღვანელოში, მოიცავს შემდეგს:

- წყლის ძლიერად სახეცვლილ ობიექტად ან წყლის ხელოვნურ ობიექტად წყლის ობიექტის იდენტიფიკაცია უნდა მოხდეს კონკრეტულ წყალსარგებლობასთან დაკავშირებული დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების შემთხვევაში.

- წყლის ობიექტები მნიშვნელოვნად უნდა იყოს სახეცვლილი ჰიდრომორფოლოგიური ცვლილებების შედეგად. ცვლილება უნდა იყოს მასშტაბური/გავრცელებული ან ღრმა ხასიათის.
- დროებითი ან არარეგულარული ხასიათის მქონე მნიშვნელოვანი ჰიდროლოგიური ცვლილებები არ უნდა ჩაითვალოს თვისებების მნიშვნელოვან ცვლილებად.
- ჩვეულებრივ, ჰიდრომორფოლოგიური ცვლილება ნიშნავს ჰიდროლოგიურ და მორფოლოგიურ ცვლილებას.
- თვისებების მნიშვნელოვანი ცვლილება უნდა წარმოადგენდეს „წყლის ჩარჩო დირექტივის“ მოხედვით განსაზღვრული წყლის გამოყენების კონკრეტული სახეების შედეგს.

წყლის ძლიერად სახეცვლილი ობიექტების განსაზღვრა განმეორებად პროცესს წარმოადგენს. წყლის ის ობიექტები, რომლებიც სავარაუდოდ წარმოადგენენ წყლის ძლიერად სახეცვლილ ობიექტებს (HMWB) ან წყლის ხელოვნურ ობიექტებს (AWB), მაგრამ მდინარის სააუზო მართვის გეგმაში შეცდომით არ იქნენ განსაზღვრული ასეთ ობიექტებად, შეიძლება გადამოწმდეს მეორე ციკლისთვის იმ პირობით, რომ მათი სტატუსი არ გაუარესებულა. ანალოგიურად, შესაძლებელია დაგეგმვის შემდგომ ციკლებში წყლის ობიექტებისათვის ამ „სტატუსის“ მოხსნაც.

ქვემოთ სქემის სახით წარმოდგენილია განმეორებადი პროცესის პირველი ნაწილი, რომელიც ახდენს ძლიერად სახეცვლილ/ხელოვნურ ობიექტად განსაზღვრის კანდიდატი ობიექტების იდენტიფიცირებას:



თუ ცვლილებები არ ახდენენ ზემოქმედებას კარგ ეკოლოგიურ სტატუსზე, შეწყვიტეთ წყლის ობიექტის განხილვა



მოახდინეთ გასაუმჯობესებელი ღონისძიებების იდენტიფიკაცია, რომლებიც ხელს შეუწყობენ წყლის ობიექტის კარგი ეკოლოგიური სტატუსის მიღწევას



ხარისხობრივად შეაფასეთ გასაუმჯობესებელი ღონისძიებების ზემოქმედება წყალსარგებლობაზე და უფრო ფართო გარემოზე თუ ამ ღონისძიებით უფრო ფართო გარემოზე და წყალსარგებლობაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება აღარ იარსებებს შეწყვიტეთ წყლის ობიექტის განხილვა



გამოავლინეთ „სხვა საშუალებები“ რომელითაც უზრუნველყოფილი იქნება წყალსარგებლობა და შეაფასეთ მათი ტექნიკური განხორციელებადობა  
ტექნიკურად განხორციელებადი „სხვა საშუალებების“ არარსებობის შემთხვევაში წყლის ობიექტი განსაზღვრეთ, როგორც წყლის ძლიერად სახეცვლილ/ხელოვნურ ობიექტად განსაზღვრის კანდიდატი



შეაფასეთ, წარმოადგენენ თუ არა „სხვა საშუალებები“ გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უკეთეს ვარიანტს და ხომ არ არიან ისინი არათანაზომიდან ძვირადღირებული.  
გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უკეთესი ვარიანტების არსებობის ან „სხვა საშუალებების“ მისაღები ხარჯების შემთხვევაში, შეწყვიტეთ წყლის ობიექტის განხილვა  
გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უკეთესი ვარიანტების არარსებობის ან „სხვა საშუალებების“ არათანაზომიდან მაღალი ხარჯების შემთხვევაში, წყლის ობიექტი განსაზღვრეთ, როგორც წყლის ძლიერად სახეცვლილ/ხელოვნურ ობიექტად განსაზღვრის კანდიდატი.



წყლის ძლიერად სახეცვლილ/ხელოვნურ ობიექტად განსაზღვრის კანდიდატი



შეფასება მუხლი 4.3 (ბ)-ს მიხედვით

ნახ. 1: წყლის ძლიერად სახეცვლილი (HMWB) ან წყლის ხელოვნური ობიექტების (AWB) იდენტიფიცირების ეტაპები (განხორციელების საერთო სტრატეგიის (CIS) სახელმძღვანელო დოკუმენტი N4-ის (2003 წ.) საფუძველზე).

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი არ აქვს მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას კონკრეტულ წყალსარგებლობაზე ან უფრო ფართო გარემოზე, წყლის ძლიერად სახეცვლილ ობიექტად წინასწარ განსაზღვრული წყლის ობიექტი უნდა ჩაითვალოს წყლის ბუნებრივ ობიექტად და მასზე განხორციელდეს აღდგენის ღონისძიებები კარგი ეკოლოგიური სტატუსის მიღწევის უზრუნველსაყოფად. გარკვეულ პირობებში სასურველია “წყლის ჩარჩო დირექტივის” მუხლი 4(4) ან 4(5)-ის მოთხოვნებისგან გათავისუფლება და ნაკლებად მკაცრი გარემოსდაცვითი მიზნების დადგენა.

წყლის ძლიერად სახეცვლილი ან წყლის ხელოვნური ობიექტების იდენტიფიცირება უნდა მოხდეს ცხრილი 5-ში წარმოდგენილი კრიტერიუმებით და წინა ნახაზზე ნაჩვენები ეტაპების შესაბამისად.

**წყლის ხელოვნური ობიექტის (AWB) კატეგორია** უნდა მიენიჭოს შემდეგი სახის ზედაპირული წყლის ობიექტებს:

- ნაოსნობის, ჰიდროენერგეტიკის და მელიორაციის მიზნებისთვის შექმნილი არხები, რომლებიც აკმაყოფილებენ „წყლის ჩარჩო დირექტივით“ განსაზღვრულ პირობებს,
- კარიერებში, მადაროებში და ღია შახტებში შექმნილი ტბები, გუბურები,
- წყლის გადადებით შექმნილი წყალსაცავები და ხელოვნური წყალსატევები,
- ნავმისადგომები.

უნდა შეფასდეს მნიშვნელოვანი მორფოლოგიური ზეწოლის ქვეშ მყოფი ზედაპირული წყლის ყველა ობიექტი.

ზეწოლის სახე	ზღვრული მაჩვენებელი	
	მნიშვნელოვანი ზემოქმედება	წყლის ძლიერად სახეცვლილ ობიექტად (HMWB) განსაზღვრის კანდიდატი
წყლის რეგულირება (ხარჯის ცვლილება)	მოქმედი თევზსავალის/თევზის მიგრაციის დამხმარე საშუალების გარეშე	სამზე მეტი ხელოვნური ნაგებობა
კალაპოტისა და ნაპირების გამაგრება	ზემოქმედების ქვეშ იმყოფება რომელიმე ნაპირის >15%	ზემოქმედების ქვეშ იმყოფება ნაპირის >60%
მდინარის კალაპოტის ფორმის შეცვლა და კალაპოტის მოწყობა	ზემოქმედების ქვეშ იმყოფება $\geq 500$ და წყლის ობიექტის მთლიანი სიგრძის 20%-ზე მეტი	ზემოქმედების ქვეშ იმყოფება მდინარის სიგრძის >50%

ზეწოლის სახე	ზღვრული მაჩვენებელი	
	მნიშვნელოვანი ზემოქმედება	წყლის ძლიერად სახეცვლილ ობიექტად (HMWB) განსაზღვრის კანდიდატი
კალაპოტიდან მასალის ამოღება	ზემოქმედების ქვეშ იმყოფება კალაპოტის სიგრძის >15%	ზემოქმედების ქვეშ იმყოფება კალაპოტის სიგრძის >30%
წყლის დაგუბება	მთავარ კალაპოტში წყლის დაგუბება არ ხდება; შენაკადების დაგუბების შემთხვევაში ზემოქმედების ქვეშ მოქცეული წყლის ობიექტის ფართობი <10%	წყლის ობიექტზე ხდება წყლის დაგუბება
ინტენსიური მოხმარება	ბუნებრივი/ბუნებრივთან მიახლოებული ბუფერული ზონები >70%	ბუნებრივი/ბუნებრივთან მიახლოებული ბუფერული ზონები >70%
დატბორვის ხასიათის ცვლილება (დატბორვის ზონების არსებობა და მასშტაბი)	მოქმედი ჭალა <15%	მოქმედი ჭალა <5% of
ნაგებობები	როდესაც იქმნება წინაღობის ეფექტი	ნაგებობების ზემოქმედების ქვეშ მყოფი ფართობი >50%

ცხრილი 1. კრიტერიუმები ძლიერად სახეცვლილი წყლის ობიექტების HMWB წინასწარი ნუსხის შესადგენად (მორფოლოგიური ზეწოლების ზღვრული მნიშვნელობების საფუძველზე)

**წყლის ძლიერად სახეცვლილ/ხელოვნურ** ობიექტად განსაზღვრის კანდიდატების იდენტიფიცირების შემდეგ უნდა ჩატარდეს წყლის თოთოეული ობიექტის შეფასება განხორციელების საერთო სტრატეგიის (CIS) სახელმძღვანელო დოკუმენტი N4-ში აღწერილი ეტაპების (ეტაპი 7 და 8) მიხედვით. თითოეული HMWB განსაზღვრის კანდიდატისა და AWB განსაზღვრის კანდიდატის შემთხვევაში უნდა დაისვას შემდეგი კითხვები მდინარის აუზის რაიონებში წყლის ძლიერად სახეცვლილი ობიექტების და წყლის ხელოვნური ობიექტების საბოლოო ნუსხის შესადგენად:

ეტაპი 7: გასაუმჯობესებელი ღონისძიებების შეფასება

7.1 კარგი ეკოლოგიური სტატუსის მისაღწევად საჭირო გასაუმჯობესებელი ღონისძიებების გამოვლენა. ფიზიკური ცვლილება მიმდინარე „სპეციფიკურ სარგებლობასთან“ არის დაკავშირებული?
7.2 გასაუმჯობესებელ ღონისძიებებს ექნებათ მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება „სპეციფიკურ წყალსარგებლობაზე“?
7.3 გასაუმჯობესებელ ღონისძიებებს ექნებათ მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება უფრო ფართო გარემოზე?

მოცემული წყლის ობიექტი უნდა განისაზღვროს წყლის ძლიერად სახეცვლილი ობიექტად ან წყლის ხელოვნური ობიექტად იმ შემთხვევაში, თუ ყველა ზემოთ მიყვანილ კითხვაზე პასუხი დადებითია.

**მაგალითი 1. “გასაუმჯობესებელი ღონისძიების” მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება წყალსარგებლობის დანიშნულებაზე**

ტბაში წყლის დონე ხელოვნურად იქნა გაზრდილი მცირე ზომის ჯებირით. ტბა წყალმომარაგების სისტემას სასმელი წყლით უზრუნველყოფს. ჯებირი მოეწყო ტბაში მეტი რაოდენობის წყლის დასაგროვებლად. თუმცა, მისი ზემოქმედება საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ხელი შეეშალა ტბისთვის კარგი ეკოლოგიური სტატუსის მიღწევაში. ჯებირის მოშლა მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას გამოიწვევს სასმელი წყლით მომარაგებაზე, რადგან ტბაში წყლის ბუნებრივი დონე არ არის საკმარისი არსებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

**მაგალითი 2. “გასაუმჯობესებელი ღონისძიების” ზემოქმედება უფრო ფართო გარემოზე**

მიტოვებული წყალსაცავი გარეული გადამფრენი ფრინველებისთვის დასვენების მნიშვნელოვან ადგილად იქცა. ამის გამო ის, ფრინველების დირექტივის შესაბამისად, სპეციალურ დაცულ ტერიტორიად გამოცხადდა. ჯებირების მოშლა წყალსაცავის დაცვას გამოიწვევს და, შესაბამისად, საფრთხეს შეუქმნის ამ უბნის საკონსერვაციო მნიშვნელობას.

<b>ეტაპი 8: ალტერნატიული საშუალებების შეფასება</b>
8.1 არსებობს ფიზიკური ცვლილებებით უზრუნველყოფილი სარგებლის მიღების „სხვა საშუალებები“?
8.2 არის „სხვა საშუალებები“ ტექნიკურად განხორციელებადი?
8.3 წარმოადგენენ „სხვა საშუალებები“ გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უკეთეს ვარიანტს?
8.4 ეს „სხვა საშუალებები“ არათანაზომიდან ძვირადღირებულია?
8.5 უზრუნველყოფენ „სხვა საშუალებები“ კარგი ეკოლოგიური სტატუსის მიღწევას? კარგი ეკოლოგიური სტატუსის მიღწევის წარუმატებლობა ფიზიკური ცვლილებებით არის გამოწვეული?

პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს „სხვა საშუალებები“, რომლის განხორციელებითაც შესაძლებელი იქნება იგივე სარგებელი მიღება (მაგ., სასმელად ზედაპირული წყლის ნაცვლად მიწისქვეშა წყლის გამოყენება). ამის შემდეგ უნდა შეფასდეს, არის თუ არა ეს „სხვა საშუალებები“

- ა) ტექნიკურად განხორციელებადი,
- ბ) გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უკეთესი ვარიანტი და
- გ) არ არის არათანაზომადად ძვირადღირებული


იმ შემთხვევაში, თუ ეტაპ 8-ში ა), ბ) და გ)-ზე ერთ-ერთი პასუხი უარყოფითია, მაშინ წყლის ობიექტი უნდა განისაზღვროს წყლის ძლიერად სახეცვლილ ობიექტად. იმ შემთხვევაში, თუ გასაუმჯობესებელ/შემარბილებელ ღონისძიებებს არ ექნებათ მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება უფრო ფართო გარემოზე (იხ. ეტაპი 7), ან თუ არსებობს ისეთი „სხვა საშუალებები“, რომლებიც აკმაყოფილებენ ა), ბ) ან გ) კრიტერიუმებს (იხ. ეტაპი 8), წყლის ობიექტი არ უნდა განისაზღვროს წყლის ძლიერად სახეცვლილ ობიექტად (HMWB) და მისი შესაბამისი გარემოსდაცვითი მიზანი იქნება კარგი ეკოლოგიური სტატუსი ან ნაკლებად მკაცრი მიზანი.

# გარემოსდაცვითი მიზნების დადგენა

„წყლის ჩარჩო დირექტივით“ განსაზღვრულია გარემოსდაცვითი მიზნების ორი ჯგუფი:

- მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის ციკლის ძირითადი მიზნები, რომლებიც დაკავშირებულია წყლის ყველა ობიექტის არსებული სტატუსის (ან წყლის ძლიერად სახეცვლილი ან ხელოვნური ობიექტებისთვის ეკოლოგიური პოტენციალის) გაუარესების თავიდან აცილებასთან და წყლის იმ ობიექტებზე, რომელთა სტატუსი მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის პირველი ციკლისთვის არ არის „კარგი“ ან „უკეთესი“, მათი დაცვის, გაჯანსაღების და აღდგენის მიზნით, **“კარგი სტატუსის”** (ან „პოტენციალის“) მიღწევასთან, შემდგომში დაგეგმვად მოკლე ვადებში .  
**ალტერნატიული მიზნები**, რომელიც დგინდება „წყლის ჩარჩო დირექტივის“ მუხლი 4.4, 4.5, 4.6 ან 4.7-ში განსაზღვრული განსაკუთრებული შემთხვევების საფუძველზე იხ. დანართი 1.

სქემაზე მოცემული გარემოსდაცვითი მიზნების დადგენის პროცესი.



ნახ. 2: გარემოსდაცვითი მიზნების დადგენის პროცესის სქემა



ქვემოთ აღწერილია ძირითადი და ალტერნატიული მიზნები.

## ძირითადი მიზნები

„წყლის ჩარჩო დირექტივით“ დადგენილი ძირითადი (სავალდებულო) გარემოსდაცვითი მიზნები მრავალფეროვანია და მოიცავენ განსაზღვრულ ელემენტებს ზედაპირული წყლებისთვის, მიწისქვეშა წყლებისა და წყლის დაცული ზონებისათვის, რომლებიც დადგენილია მუხლი 4.1-ის მიხედვით. მიზნებში ყურადღება გამახვილებულია შემდეგზე:

ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების **სტატუსის გაუარესების არდაშვება**, წყლის ყველა ობიექტის დაცვა, გაჯანსაღება და აღდგენა და მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის პირველი ციკლის დასასრულისთვის **„კარგი სტატუსის“ მიღწევა**, პრიორიტეტული ნივთიერებებით დაბინძურების პერმანენტული შემცირება, პრიორიტეტული სახიფათო ნივთიერებების ეტაპობრივად აღმოფხვრა, **მიწისქვეშა წყლებში დამბინძურებლების რაოდენობის** ზრდის მნიშვნელოვანი, **აღმავალი ტენდენციის** შეცვლა და ევროკავშირის კანონმდებლობით დაცული ტერიტორიებისთვის დადგენილი **სტანდარტებისა და მიზნების** შესრულება.

## სტატუსის გაუარესების თავიდან აცილების და კარგი სტატუსის მიღწევის მიზნები

რეალურად, „წყლის ჩარჩო დირექტივის“ ძირითად მიზანს, ცალკეული მცირერიცხოვანი გამონაკლისებით, **სტატუსის გაუარესების** (სტატუსის დაქვეითების) თავიდან აცილება წარმოადგენს.

„კარგი“ სტატუსი“ მქონე წყლის ისეთ ობიექტზე, სადაც ხარისხის რომელიმე ელემენტი შეესაბამება „მაღალი“ სტატუსის კლასიფიკაციას, შესაძლებელია ხარისხის ამ ელემენტების „კარგ“ სტატუსამდე დაქვეითება. ეს არ ეხება მორფოლოგიურ პირობებს, რომელთა „მაღალი“ სტატუსი არ უნდა გაუარესდეს. ჰიდროლოგიური პირობები უნდა შეესაბამებოდეს, სულ მცირე, „კარგ“ სტატუსს და აკმაყოფილებდეს წყლის დაცული ზონებისათვის დადგენილ მოთხოვნებს ჰიდროლოგიურ პირობებთან დაკავშირებით.

მიწისქვეშა წყლების შემთხვევაში მიღებულ უნდა იქნეს ზომები მნიშვნელოვანი ურყოფითი გარემოსდაცვითი ტენდენციის შესაცვლელად მიუხედავად იმისა, ახდენს თუ არა ის ზემოქმედებას სტატუსზე.

გაუარესების შესაფასებლად ფონურ მდგომარეობას წარმოადგენს წყლის ობიექტის არსებული სტატუსი. მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის პირველი ციკლისთვის, ეს არის ერთი წელი მდინარის სააუზო მართვის გეგმის დამტკიცებამდე (მაგ. თუ გეგმა მტკიცდება 2018 წელს, მაშინ ყველა ზედაპირული წყლის ობიექტის სტატუსის კლასიფიკაცია უნდა მოხდეს 2017 წელს.).

„წყლის ჩარჩო დირექტივის“ თანახმად, იმ შემთხვევაში თუ წყლის ობიექტს ეხება ერთზე მეტი გარემოსდაცვითი მიზანი, ამ ობიექტზე ამ მიზნებს შორის ყველაზე მკაცრი უნდა გავრცელდეს. მაგალითად, გარკვეულ გარემოებებში დაცული ტერიტორიებისათვის დადგენილი მიზანი შეიძლება იყოს ყველაზე მკაცრი, თუ ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია:

- წყლის ობიექტზე, ან მის ნაწილზე კონკრეტული პარამეტრის უფრო მკაცრი სტანდარტის დაცვა, ვიდრე ეს საჭიროა სტატუსის გაუარესების თავიდან ასაცილებლად; ან შესაბამის შემთხვევებში, მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის

პირველი ციკლის დასასრულისთვის ან გახანგრძლივებულ ვადებში წყლის ობიექტზე კარგი სტატუსის, ან კარგ სტატუსთან შედარებით ნაკლებად მკაცრი მიზნის მიღწევა;

- კონკრეტული სტანდარტის მიღწევა დადგენილ ვადაზე ადრე;
- უფრო მკაცრი კონტროლი იმ ზეწოლაზე, რომელიც ზემოქმედებას ახდენს წყლის ობიექტზე, ან მის ნაწილზე, ვიდრე ეს საჭიროა სტატუსის გაუარესების თავიდან ასაცილებლად; ან შესაბამის შემთხვევებში, მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის პირველი ციკლის დასასრულისთვის ან გახანგრძლივებულ ვადებში წყლის ობიექტზე კარგი სტატუსის, ან კარგ სტატუსთან შედარებით ნაკლებად მკაცრი მიზნის მიღწევა.

*შენიშვნა: წყლის ობიექტის სტატუსის გაუარესების დასასაბუთებლად მუხლი 4.7-ის გამოყენების ყველა შემთხვევა აღწერილი უნდა იყოს მდინარის სააუზო მართვის მომდევნო განახლებულ ვერსიაში. განახლებული სტანდარტის შემოღების შედეგად წყლის ობიექტის კლასიფიკაციის შეცვლა მოხსენიებული უნდა იყოს როგორც განახლებული კლასიფიკაცია და არა როგორც სტატუსის გაუარესება.*

## წყლის დაცული ზონების მიზნები

„წყლის ჩარჩო დირექტივა“ განსაზღვრავს ტერიტორიებს, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ დაცვას ევროკავშირის სხვა დირექტივებით. მაგ. წყლის ობიექტები, რომლებიც გამოიყენება სასმელი წყლის მისაღებად, განსაზღვრულია წყლის დაცულ ზონებად („წყლის ჩარჩო დირექტივის“ დანართი IV, იხ. წინამდებარე დოკუმენტის დანართი 3). ამ ტერიტორიებს აქვთ საკუთარი მიზნები და სტანდარტები. „წყლის ჩარჩო დირექტივის“ მუხლი 4 მოითხოვს თითოეული დაცული ზონისათვის დადგენილი სტანდარტებისა და მიზნების შესრულებას მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის პირველი ციკლის დასასრულისთვის, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული ევროკავშირის კანონმდებლობით, რომლის თანახმადაც შექმნილია კონკრეტული დაცული ზონა.

„წყლის ჩარჩო დირექტივის“ მუხლი 6 მოითხოვს წყლის დაცული ზონების რეესტრის შექმნას. რეესტრში უნდა შევიდეს შემდეგი სახის დაცული ტერიტორიები:

- ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი წყალაღების ტერიტორიები (სასმელი წყლის დაცული ტერიტორიები);
- ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე წყლის სახეობების დაცვისთვის განკუთვნილი ტერიტორიები (მტკნარი წყლის თევზები და კიბოსნაირები);
- რეკრეაციისთვის განკუთვნილი წყლის ობიექტები, საბანაო წყლის ობიექტებად განსაზღვრული ტერიტორიების ჩათვლით;
- ნუტრიენტების მიმართ მგრძობიარე ტერიტორიები, მათ შორის **ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონები**, განსაზღვრული ნიტრატების შესახებ დირექტივის თანახმად, ან **სენსიტიური ზონები**, განსაზღვრული ურბანული ჩამდინარე წყლების გაწმენდის შესახებ დირექტივის თანახმად;
- ჰაბიტატების ან სახეობების დასაცავად განკუთვნილი ტერიტორიები, სადაც წყლის სტატუსის შენარჩუნება ან გაუმჯობესება მათი დაცვისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, Natura 2000 შესაბამისი უბნების ჩათვლით.

გასაგებია, რომ WFD -ის მუხლი 4.4, 4.5 და 4.6-ში განსაზღვრული გამონაკლისების დაშვების პირობები ეხება 4.1-ში დადგენილ ყველა გარემოსდაცვით მიზანს, მუხლი 4.1(გ)-ს ჩათვლით, რომელიც აღწერს დაცული ზონების მიზნებს. **თუმცა, მუხლი 4.9 გარკვევით ამბობს, რომ**

მუხლი 4-ში განსაზღვრული გამოწვევების დაშვების პირობების გამოყენების დროს, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს დაცვის ისეთივე დონე, რომელიც განსაზღვრულია ევროკავშირის მოქმედი კანონმდებლობით. ეს ნიშნავს იმას, რომ „წყლის ჩარჩო დირექტივის“ გარემოსდაცვით მიზნებთან დაკავშირებით განსაკუთრებული პირობები არ უნდა იქნეს გამოყენებული ევროკავშირის სხვა საკანონმდებლოს აქტებით დადგენილი მიზნებისა და ვალდებულებებისგან თავის ასარიდებლად.

მაგალითად, ახალი დაგეგმილი საქმიანობა გამოიწვევს Natura 2000 უბნის სტატუსის გაუარესებას ან მისთვის დადგენილი მიზნების შეუსრულებლობას. ასეთ შემთხვევაში, „წყლის ჩარჩო დირექტივისა“ და ჰაბიტატების შესახებ დირექტივის მოთხოვნების შესასრულებლად აუცილებელია:

„წყლის ჩარჩო დირექტივის“ წყლის ობიექტის სტატუსის გაუარესება, დაშვებულია მუხლი 4.7-ში დადგენილი პირობების შესრულების საფუძველზე;

Natura 2000 უბნისთვის დადგენილი მიზნების შეუსრულებლობა დაშვებულია ჰაბიტატების შესახებ დირექტივის (92/43/EEC) მუხლი 6-ში დადგენილი პირობების შესრულების საფუძველზე.

### სასმელი წყლის დაცული ზონები

სასმელი წყლის დაცული ზონებზე მიზნების დადგენისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს:

- წყლის გაწმენდის არსებული რეჟიმის პირობებში მიღებული სასმელი წყალი უნდა აკმაყოფილებდეს ეროვნული კანონმდებლობით და სასმელი წყლის დირექტივით დადგენილ მოთხოვნებს (ეროვნულ კანონმდებლობაში მისი გადატანის შემდეგ);
- სასმელი წყლის დაცული ზონების სათანადო დაცვა წყლის ხარისხის გაუარესების თავიდან ასაცილებლად სასმელი წყლის მისაღებად საჭირო გაწმენდის დონის შემცირების მიზნით.

პირველი მიზანი მიიღწევა სასმელი წყლის დირექტივის მოთხოვნების (გარემოსდაცვითი სტანდარტები (პარამეტრები) იხ. დანართი 2-ში) და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებით, რომლების მიხედვითაც სასმელ წყალში ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი დაბინძურება არ უნდა იყოს.

მეორე მიზანი მიიღწევა ისეთი ზომების განხორციელებით, რომელთა მიზანია სასმელი წყლის აღების ადგილებში წყლის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილება.

შენიშვნა: მიდგომები ზედაპირული წყლის ობიექტებისთვის განკუთვნილი სასმელი წყლის დაცული ზონების მიმართ და მიდგომები მიწისქვეშა წყლის ობიექტებისთვის განკუთვნილი სასმელი წყლის დაცული ტერიტორიების მიმართ განსხვავებულია. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ სასმელი წყლის დაცული ტერიტორიების დამცავი ზონები წარმოდგენილი იყოს სასმელი წყლის მომარაგების როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სისტემებში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

### ეკონომიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სახეობები (მტკნარი წყლის თევზების წყლები)

მტკნარი წყლის თევზების დირექტივით მტკნარი წყლის თევზებისთვის განკუთვნილი წყლის ობიექტისათვის მიზნების დადგენისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს:

- გამდინარე ან დამდგარი მტკნარი წყლების ხარისხის დაცვა ან გაუმჯობესება, ისეთი თევზებისთვის საჭირო გარემოს შესაქმნელად, რომლებიც:
  - წარმოადგენენ ბუნებრივი მრავალფეროვნების ადგილობრივ სახეობებს; ან

- ისეთ სახეობებს, რომელთა არსებობაც ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოების მიერ მიჩნეულია წყლის მართვის მიზნებისათვის სასურველად.

ეს მიზანი მიიღწევა იმპერატიული სტანდარტების შესრულებით და მტკნარი წყლის თევზების დირექტივით განსაზღვრული სახელმძღვანელო სტანდარტების დაცვით.

*ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სახეობები (კიბოსნაირების წყლები)*

კიბოსნაირების წყლის დირექტივით, კიბოსნაირებისთვის განკუთვნილი წყლის ობიექტისათვის მიზნების დადგენისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს:

- კიბოსნაირების წყლების ხარისხის დაცვა და საჭიროების შემთხვევაში გაუმჯობესება, (ორსადგულიანი და მუცელფეხიანი მოლუსკების) კიბოსნაირების არსებობისა და ზრდის უზრუნველსაყოფად და ამ გზით ადამიანის მიერ მოხმარებული კიბოსნაირების ხარისხის გაუმჯობესება.

ეს მიზანი მიიღწევა იმპერატიული სტანდარტების შესრულებით და კიბოსნაირების წყლის დირექტივით განსაზღვრული სახელმძღვანელო სტანდარტების დაცვით.

*რეკრეაციული წყლები (საბანაო წყლები)*

საბანაო წყლის დირექტივით (2006/7/EC) საბანაოდ განკუთვნილი წყლის ობიექტებისათვის მიზნების დადგენისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს:

- გარემოს ხარისხის შენარჩუნება, დაცვა და გაუმჯობესება და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა დირექტივა 2000/60/EC-ის შესრულების გზით.

მიზანი მიიღწევა საბანაო წყლის დირექტივით განსაზღვრული ხარისხის „შესაბამისი“ სტანდარტების (იხ. ცხრილი 2) შესრულებით და ისეთი რეალისტური და თანაზომადი ზომების მიღებით, რომლებიც მიზანშეწონილია „საუკეთესო“ ან „კარგი“ სტატუსის საბანაო წყლის ობიექტების გაზრდის თვალსაზრისით.

*ცხრილი 2: საბანაო წყლების ხარისხის სტანდარტები საბანაო წყლების შესახებ დირექტივის (2006/7/EC) მიხედვით.*

პარამეტრი	სიდიდე	ერთეული
სიმღვრივე	<1	*NTU
გამჭვირვალობა	1 (90 პროცენტილი, როგორც სახელმძღვანელო სიდიდე)	მ
სინათლის შეღწევადობა	2 (95 პროცენტილი, როგორც სავალდებულო სიდიდე)	მ
გახსნილი ჟანგბადი (გაჯერება)	≥ 80	%
pH	6–9	
	250 (95 პროცენტილი, როგორც სახელმძღვანელო სიდიდე)	**CFU/100 მლ

პარამეტრი	სიდიდე	ერთეული
ნაწლავის ჩხირი (კოლონია/100 მლ) (*)	500 (95 პროცენტილი, როგორც სავალდებულო სიდიდე)	CFU/100 მლ
	500 (90 პროცენტილი, როგორც საკმარისი სიდიდე)	CFU/100 მლ
ნაწლავური ენტეროკოკი (კოლონია/100 მლ) (*)	100 (95 პროცენტილი, როგორც სახელმძღვანელო სიდიდე)	CFU/100 მლ
	200 (95 პროცენტილი, როგორც სავალდებულო სიდიდე)	CFU/100 მლ
	185 (90 პროცენტილი, როგორც საკმარისი სიდიდე)	CFU/100 მლ

\*\* NTU - სიმღვრივის ნეფელომეტრული ერთეული; \*CFU - კოლონიის შემქმნელი ერთეული

### *ნუტრიენტების მიმართ მგრძობიარე ტერიტორიები (ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონები) (დირექტივა ნიტრატების შესახებ)*

ნიტრატების შესახებ დირექტივის მთავარი მიზანია:

- სასოფლო-სამეურნეო წყაროებიდან ნიტრატებით წყლის დაბინძურების შემცირება, და
- ამ სახის დაბინძურების თავიდან აცილება.

მიზანი მიიღწევა ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონების განსაზღვრით და ამ ზონებში სამოქმედო პროგრამების განხორციელებით. ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონები წარმოადგენენ ტერიტორიებს, საიდანაც „დაბინძურებული წყლები“ ჩაედინება წყლის ობიექტში, დირექტივის განმარტების შესაბამისად. ასევე არსებობს და გამოქვეყნებულია კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის კოდექსი, რომელიც ფერმერებს აძლევს რჩევებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა შეამცირონ გარემოში ნიტრატების გავრცელება.

### *ნუტრიენტების მიმართ მგრძობიარე ტერიტორიები (დირექტივა ურბანული ჩამდინარე წყლების გაწმენდის შესახებ)*

ურბანული ჩამდინარე წყლების გაწმენდის შესახებ დირექტივის მთავარი მიზანია:

- გარემოს დაცვა ურბანული ჩამდინარე წყლების და მრეწველობის გარკვეული დარგების მიერ წარმოქმნილი ნარჩენი წყლების ჩაშვების უარყოფითი ზემოქმედებისაგან.

ურბანული ნარჩენი წყლების გაწმენდის შესახებ დირექტივის თანახმად, სენსიტიურ ტერიტორიას წარმოადგენს წყლის ის ობიექტი, რომელიც განიცდის ევტროფიკაციას ან როდესაც ნიტრატებით დაბინძურებული წყლის ობიექტიდან ხორციელდება ზედაპირული წყლის აღება. სენსიტიური ტერიტორიების განსაზღვრა წარმოადგენს ნუტრიენტებით გამოწვეული დაბინძურების თავიდან აცილებისკენ ან შემცირებისკენ მიმართული ღონისძიებების დასაწყისს. სენსიტიური ტერიტორიებისთვის განსაზღვრული მიზნის მიღწევისათვის აუცილებელია ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მიერ

წყალჩაშვება განხორციელდეს ამ დირექტივის მიხედვით სენსიტიური ზონებისათვის დადგენილი სტანდარტების შესაბამისად .

### *NATURA 2000 დაცული ტერიტორიები*

ფრინველების შესახებ დირექტივით განსაზღვრულ ტერიტორიებთან მიმართებით იდენტიფიცირებული Natura 2000 დაცული ტერიტორიებისათვის (ზონებისათვის) მიზნების დადგენისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს:

- წყლის გარემოს დაცვა, და სადაც საჭიროა წყლის გარემოს სტატუსის გაუმჯობესება იმ დონემდე, რათა მიღწეულ იქნეს კონსერვაციის ის მიზნები, რომელიც დადგენილია ამ ტერიტორიაზე არსებული ჰაბიტატების ტიპების დაცვის ან გაუმჯობესებისათვის და მნიშვნელოვანი სახეობების შესაბამისი კონსერვაციული სტატუსამდე აღდგენის შესაძლებლობა;

ფრინველების დირექტივასთან მიმართებაში Natura 2000 -ის მიხედვით იდენტიფიცირებული დაცული ტერიტორიებისათვის მიზნების წარმოადგენს:

წყლის გარემოს დაცვა და, საჭიროების შემთხვევაში, მისი გაუმჯობესება იმ დონემდე, რომელიც აუცილებელია საკონსერვაციო მიზნების მისაღწევად და ფრინველების შესახებ დირექტივის დანართი I-ში ჩამოთვლილი ფრინველების სახეობების შენარჩუნებისათვის (არსებობა და გამრავლება მათი გავრცელების არეალში).

იმ შემთხვევებში, როდესაც Natura 2000 დაცული ტერიტორია წარმოადგენს წყლის ობიექტს, ან როდესაც წყლის ობიექტი მდებარეობს Natura 2000 დაცული ტერიტორიის ფარგლებში, მასზე, ხელსაყრელი საკონსერვაციო სტატუსის შენარჩუნებასა ან ამ სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან ერთად, ვრცელდება „წყლის ჩარჩო დირექტივის“ სტატუსთან დაკავშირებული მიზნებიც.

*შენიშვნა: ჰაბიტატების და ფრინველების შესახებ ევროკავშირის დირექტივების თანახმად, Natura 2000 უბნების სავალდებულო მიზანს ხელსაყრელი საკონსერვაციო სტატუსის აღდგენა ან შენარჩუნება წარმოადგენს, თუმცა შესაბამისი ვადები ამ მიზნის მისაღწევად დადგენილი არ არის. „წყლის ჩარჩო დირექტივით“ საბოლოო ვადას, რომელიც Natura 2000 უბნებს ეხება, მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის პირველი ციკლის დასასრული წარმოადგენს.*

### **ალტერნატიული მიზნები**

გამონაკლისების დაშვების პირობების განხილვის დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ „წყლის ჩარჩო დირექტივა“ გარემოსდაცვითი დირექტივაა და მის მიზნებთან დაკავშირებული გამონაკლისების დაშვების პირობები არა წესს, არამედ განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტული წყლის ობიექტისთვის გამონაკლისების დაშვებისას შესრულებული იყოს წყლის რესურსებთან დაკავშირებული ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნები. მიუხედავად ამისა, „გამონაკლისის დაშვების პირობები“ WFD –ის მუხლი 4-ის მიხედვით, გარემოსდაცვითი მიზნებისა და დაგეგმვის პროცესის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

ალტერნატიული მიზნების გამოყენება წარმოადგენს მექანიზმს, რომლის საშუალებითაც „წყლის ჩარჩო დირექტივა“ უზრუნველყოფს:

- წყლის რესურსების მართვის პრიორიტეტების პარალელურად, სხვა საკითხებთან ერთად გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებას;
- ქმედებების პრიორიტეტიზაციას მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის თანმიმდევრულ ციკლებთან მიმართებით.

ალტერნატიული მიზნების სახეები:

- გახანგრძლივებული ვადები („წყლის ჩარჩო დირექტივის“ მუხლი 4.4 (იხ. დანართი 1));
- ნაკლებად მკაცრი მიზნები („წყლის ჩარჩო დირექტივის“ მუხლი 4.5 (იხ. დანართი 1)).

მუხლი 4.6-ის დებულებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევების დასასაბუთებლად, როდესაც მდინარის სააუზო მართვის გეგმის მიზანი ვერ იქნა მიღწეული ბუნებრივი პირობების ან ფორს მაჟორული გარემოებების შედეგად სტატუსის დროებით გაუარესების გამო, და მუხლი 4.6-ში (იხ. დანართი 1) განსაზღვრული ყველა პირობა შესრულებულია.

მუხლი 4.7-ის დებულებები (იხ. დანართი 1) გამოიყენება ისეთი შემთხვევების დასასაბუთებლად, როდესაც:

- სამიზნე სტატუსის მიღწევა ან სტატუსის გაუარესების თავიდან აცილება ვერ ხერხდება წყლის ობიექტის ფიზიკური მახასიათებლებზე ახალი მოდიფიკაციების გამო;
- მაღალი სტატუსიდან კარგ სტატუსამდე დაქვეითება ახალი მდგრადი საქმიანობის შედეგია;
- მუხლი 4.7-ში განსაზღვრული ყველა პირობა შესრულებულია.

*ქვემოთ აღწერილია ის გზა, რომლითაც უნდა მოხდეს ახალი საქმიანობის შეფასების დროს „წყლის ჩარჩო დირექტივის“ გარემოსდაცვით მიზნებთან შესაბამისობის ინტერპრეტირება („წყლის ჩარჩო დირექტივის“ მუხლი 4.7):*

*ა) უფლებამოსილმა ორგანომ არ უნდა გასცეს თანხმობა ახალ საქმიანობაზე იმ შემთხვევაში, თუ პროექტმა შეიძლება გამოიწვიოს ზედაპირული წყლის ობიექტის სტატუსის გაუარესება, ან თუ ის საფრთხეს უქმნის ზედაპირული წყლის ობიექტის კარგი სტატუსის ან კარგი ეკოლოგიური პოტენციალსა და ზედაპირული წყლის კარგი ქიმიური სტატუსის მიღწევას დირექტივით განსაზღვრულ ვადებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაშვებულია დადგენილი პირობებიდან გადახვევა,*

*ბ) ზედაპირული წყლის ობიექტის “სტატუსის გაუარესება“ მოიცავს „ხარისხის ელემენტების“ რომელიმე ელემენტის ერთი კლასით ჩამოქვეითებას „წყლის ჩარჩო დირექტივის“ დანართი V-ის მხედველობაში მიღებით იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს დაქვეითება მთლიანად ზედაპირული წყლის ობიექტის კლასის დაქვეითებას არ იწვევს;*

*გ) იმ შემთხვევაში, როდესაც ხარისხის ელემენტი ისედაც ყველაზე დაბალ კლასს მიეკუთვნება, ამ ელემენტის გაუარესება წარმოადგენს სტატუსის გაუარესებას „წყლის ჩარჩო დირექტივის“ მუხლი 4(1)(ა)(i)-ს მიხედვით.*

*“სახელმძღვანელო დოკუმენტი N36 - მუხლი 4(7)-ის შესაბამისად გარემოსდაცვით მიზნებთან დაკავშირებული განსაკუთრებული პირობების შესახებ“ (2017 წ.)*

მდინარის სააუზო მართვის ციკლებში აუცილებელი გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით კარგ სტატუსზე ნაკლებად მკაცრი მიზნის დასახვის შესაძლებლობის განხილვამდე, სასურველია კარგი სტატუსის მისაღწევად (კარგი სტატუსი ნიშნავს: კარგი ეკოლოგიურ სტატუსს და ზედაპირული წყლის კარგი ქიმიურ სტატუსს - ზედაპირული წყლის იმ ობიექტებისათვის, რომლებიც არ არის განსაზღვრული, როგორც ხელოვნური ან ძლიერად სახეცვლილი; კარგი ეკოლოგიურ პოტენციალს და ზედაპირული წყლის კარგი ქიმიურ სტატუსს - ზედაპირული წყლის იმ ობიექტებისათვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც ხელოვნური ან ძლიერად სახეცვლილი; ხოლო მიწისქვეშა წყლის ობიექტებისათვის - მიწისქვეშა წყლის კარგი ქიმიურ სტატუსს და მიწისქვეშა წყლის კარგი რაოდენობრივ სტატუსს) მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის პირველი ციკლის ვადების გახანგრძლივების შესაძლებლობის („წყლის ჩარჩო დირექტივის“ მუხლი 4.4) შესწავლა. იხილეთ (სქემა 2.)

შესაძლებელია კარგი სტატუსის მიღწევა მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის პირველი ციკლის დასრულებამდე?	კი	კარგი სტატუსის მიღწევა მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის პირველი ციკლის დასრულებამდე
არა		
შესაძლებელია წყლის ობიექტის მდგომარეობის გაუმჯობესების ყველა ღონისძიების განხორციელებით, იმ ღონისძიებების გამოკლებით, რომლებიც დამოკიდებულია ბუნებრივ პროცესებზე, სააუზო მართვის დაგეგმვის პირველი ციკლის დასრულებამდე?	კი	კარგი სტატუსის მიღწევა მაქსიმალურად ადრე, რამდენადაც ეს შესაძლებელია ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის პირველი ციკლის დასრულების შემდეგ
არა		
შესაძლებელია კარგი სტატუსის მიღწევა მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის მეორე ციკლის დასრულებამდე, ან შესაძლებელია ყველა გასაუმჯობესებელი ღონისძიების შესრულება მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის მეორე ციკლის დასრულებამდე იმ ზომების გამოკლებით, რომლებიც ბუნებრივ პროცესებზეა დამოკიდებული?	კი	კარგი სტატუსის მიღწევა მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის მეორე ციკლის დასრულებამდე, ან მაქსიმალურად ადრე, რამდენადაც ეს შესაძლებელია ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის მეორე ციკლის დასრულების შემდეგ
არა		
შესაძლებელია კარგი სტატუსის მიღწევა მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის მესამე ციკლის დასრულებამდე ან შესაძლებელია ყველა გასაუმჯობესებელი ღონისძიების შესრულება მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის მესამე ციკლის დასრულებამდე იმ ზომების გამოკლებით, რომლებიც ბუნებრივ პროცესებზეა დამოკიდებული?	კი	კარგი სტატუსის მიღწევა მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის მესამე ციკლის დასრულებამდე, ან მაქსიმალურად ადრე, რამდენადაც ეს შესაძლებელია ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის მესამე ციკლის დასრულების შემდეგ
არა		
ნაკლებად მკაცრი მიზნის დასახვა		ნაკლებად მკაცრი მიზნის მიღწევა მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის პირველი ციკლის დასასრულს
↓		
ნაკლებად მკაცრი მიზნის გადახედვა მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის პირველი ციკლის დასასრულს	შეგვიძლია უფრო მიუახლოვდეთ, ან მივალწიოთ კარგ სტატუსს მდინარის სააუზო მართვის	კი კარგი სტატუსის ან ახალი ნაკლებად მკაცრი მიზნის მიღწევა მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის მეორე ციკლის დასრულებამდე



ოპონი იმპონი

ოპონი იმპონი

ოპონი იმპონი

	დაგეგმვის მეორე ციკლის დასრულებამდე?		
		არა	წინა ნაკლებად მკაცრი მიზნის შენარჩუნება მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის მეორე ციკლის დასრულებამდე
თუ წინა გეგმაში დასახული იყო ნაკლებად მკაცრი მიზანი, მისი გადახედვა მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის მეორე ციკლის დასასრულს	შეგვიძლია უფრო მივუახლოვდეთ, ან მივალწიოთ კარგ სტატუსს მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის მესამე ციკლის დასრულებამდე?	კი	კარგი სტატუსის ან ახალი ნაკლებად მკაცრი მიზნის მიღწევა მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის მესამე ციკლის დასრულებამდე
		არა	წინა ნაკლებად მკაცრი მიზნის შენარჩუნება მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის მესამე ციკლის დასრულებამდე

ნახ. 3: მიზნების გაუმჯობესების ეტაპობრივი მიდგომა (განხორციელების საერთო სტრატეგიის (CIS) სახელმძღვანელო დოკუმენტი N20-ის საფუძველზე, 2009 წ.)

კარგ სტატუსზე ნაკლებად მკაცრი მიზნები ყოველ ექვს წელიწადში ერთხელ უნდა გადაიხედოს. გადახედვის დროს შესაძლებელია ისეთი საშუალებების გამოვლენა, რომლებიც წყლის იმ ობიექტებს, რომლებისთვისაც დაგეგმვის წინა ციკლებში დასახულ იქნა ნაკლებად მკაცრი მიზნები, მისცემს კარგი სტატუსის მიღწევის ან კარგ სტატუსთან მიახლოების შესაძლებლობას.


### ვადების გახანგრძლივებისა და ნაკლებად მკაცრი მიზნების დასადგენად საჭირო შეფასება

კარგი სტატუსის მისაღწევად ვადების გახანგრძლივების ან ნაკლებად მკაცრი მიზნების დასახვის დროს გასათვალისწინებელია ტექნიკური ასპექტები (ტექნიკური განხორციელებადობის შეფასება) და ხარჯების თანაზომადობა.

#### ტექნიკური განხორციელებადობის შეფასება

ვადების გახანგრძლივება მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის მესამე ციკლის დასრულებამდე ან ნაკლებად მკაცრი მიზნის დასახვა შესაძლებელია იმ შემთხვევებში, როდესაც ის ღონისძიებები, რომლებიც აუცილებელია მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის პირველი ციკლის დასრულებამდე კარგი სტატუსის მისაღწევად, (ტექნიკურად) განუხორციელებადია ან არათანაზომადად ძვირადღირებული (მუხლი 4.4(ა)(i) და (ii) და მუხლი 4.5).

კარგი სტატუსის მისაღწევად საჭირო ხარჯების თანაზომადობის შეფასებამდე საჭიროა შესაბამის ვადებში კარგის სტატუსს მიღწევის ტექნიკური განხორციელებადობის შესწავლა.



ნახ. 4: გახანგრძლივებული ვადებისა და ნაკლებად მკაცრი მიზნების გამოყენების ეტაპობრივი მიდგომა

ითვლება, რომ კარგი სტატუსის მიღწევა ტექნიკურად განუხორციელებადია, თუ:

- არ არსებობს საჭირო მეთოდები და მათი დროულად შემუშავება შეუძლებელია.
- არსებული მეთოდის გამოყენება, რომელიც აუცილებელია კონკრეტულ შემთხვევაში, ვერ განხორციელდება ისე, რომ ეფექტი იქონიოს დაგეგმვის ციკლის შესაბამის ვადებში, ან ციკლების ვადებში თუ გადაწყვეტილება მიღებული უფრო ხანგრძლივ ვადებზე.
- არ არსებობს ტექნიკური პოტენციალი, რომლის გონივრულად გამოყენებაც შესაძლებელი იქნება აუცილებელი ღონისძიებების განსახორციელებლად.
- არ არსებობს ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია კარგი სტატუსის მიღწევის წარუმატებლობის მიზეზისა და შესაბამისად, კარგი სტატუსის მისაღწევად საჭირო მეთოდის დადგენა.
- არ არის გარკვეული, არის თუ არა მეთოდი ეფექტიანი და შესაბამისად, შესაძლებელია თუ არა კარგი სტატუსის მიღწევა დადგენილ ვადებში.

შენიშვნა: როდესაც უცნობია, არის თუ არა მეთოდი ეფექტიანი, რეკომენდებულია ნაკლებად მკაცრი მიზნის დასახვა დაინტერესებულ მხარეებში არასწორი მოლოდინების გაჩენის თავიდან ასაცილებლად.

### ხარჯების არათანაზომადობის შეფასება

ვადების გახანგრძლივება ან ნაკლებად მკაცრი მიზნების დასახვა შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის პირველი ციკლის დასასრულისთვის კარგი სტატუსის მისაღწევად საჭირო ღონისძიებები არათანაზომად და ძვირადღირებულია (მუხლი 4.4 (ა)(ii) და 4.5).

აღნიშნული დებულება იძლევა მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის პირველი ციკლის დასასრულისთვის ზედაპირული წყლის კარგი სტატუსის ან მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის პირველი ციკლის დასასრულისთვის მიშისქვეშა წყლის კარგი სტატუსის მიღწევის მიზნის შეცვლის შესაძლებლობას ისეთ გარემოებებში, როდესაც ასეთი ღონისძიებებით მიზნების მიღწევა გამართლებული არ არის.

### **შეფასების მეთოდები**

*არათანაზომადობის შეფასება ემყარება ობიექტური სტატუსის განმარტებასა და ღონისძიებებს და გვეხმარება ეკონომიკურად მიზანშეწონილი ღონისძიებების სწორად შერჩევაში. შეფასება ორი პარალელური მიმართულებით - ხარჯებისა და სარგებლის კუთხით ხდება. ერთი მხრივ, ხარჯების შეფასება ითვალისწინებს ღონისძიებების განსაზღვრას, მათი ხარჯების გამოთვლას და ამის საფუძველზე ღონისძიებების გადახედვას იმ მომენტამდე, სადაც ხარჯების შემცირება აღარ არის შესაძლებელი. მეორე მხრივ, სარგებლის ღირებულება მიზნის მიღწევის დადებითი შედეგების საფუძველზე გამოითვლება.*

*ხარჯეფექტიანობის ანალიზი და ხარჯსარგებლიანობის ანალიზი არის ის ორი ძირითადი მეთოდი, რომელიც გამოიყენება არათანაზომადობის ეკონომიკური შეფასებისთვის. ხარჯეფექტიანობის ანალიზი ჩვეულებრივ ერთმანეთს ფულად ხარჯებს და ფიზიკურ სარგებელს ადარებს (მაგალითად, ალდგენის ხარჯებისა და დაბინძურების შემცირების ღონის თანაფარდობა), ხოლო ხარჯსარგებლიანობის ანალიზი ერთმანეთს ადარებს ფულადი სახით გამოხატულ ხარჯებსა და სარგებელს (დაბინძურების შედეგად მიღებული პირდაპირი ან არაპირდაპირი ფულადი სარგებლისა და ალდგენის ხარჯების თანაფარდობა). ხარჯეფექტიანობის ანალიზი არ ახდენს ისეთი არამატერიალური აქტივების მონეტარიზაციას, როგორცაა გარემო, და ჩვეულებრივ გამოიყენება ალტერნატიული ღონისძიებების შედარებითი შეფასებისთვის და არა პროექტის/სტრატეგიის ეკონომიკური მიზანშეწონილობის დასადგენად. ხარჯსარგებლიანობის ანალიზი გამოიყენება პროექტის/სტრატეგიის მიზანშეწონილობის შესაფასებლად, რადგან ის მოითხოვს როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური სარგებლის ხარჯების შეფასებას. ორივე მეთოდი ხარჯების არათანაზომადობას აფასებს.*

კარგი სტატუსის მისაღწევად საჭირო ხარჯებისა და სარგებლის შეფასების მეთოდი დამოკიდებულია ვადების გახანგრძლივების ან ნაკლებად მკაცრი მიზნების გამოსაყენებლად საჭირო არგუმენტებზე.

კარგი სტატუსის მიღწევის ხარჯების არათანაზომადობის შეფასება ასევე დამოკიდებულია კარგი სტატუსის მისაღწევად საჭირო ყველაზე ხარჯეფექტიანი დამატებითი ზომების კომბინაციის არათანაზომადობის შეფასებაზე. მაგალითად, როდესაც კონკრეტულ ზემოქმედებას განაპირობებს სხვადასხვა ზეწოლა:

- ბალანსი წერტილოვან და დიფუზიურ წყაროებთან ნუტრიენტების კონცენტრაციის კონტროლს (მაგ. წერტილოვანი წყაროებისათვის ნუტრიენტების წყალჩაშვების ზღვრული სიდიდეების დადგენა) შორის
- ბალანსი წყლის ობიექტში სხვადასხვა წერტილოვანი წყაროებიდან ჩაშვებების კონტროლს შორის
- ბალანსი წყალაღებისა (რაც ამცირებს დამბინძურებლების გასაზავებლად საჭირო წყლის რაოდენობას) და ჩაშვების კონტროლს შორის

## დაფინანსების ინსტრუმენტები

ცხადია, რომ ხარჯების თანაზომადობის (ან არათანაზომადობის) შეფასება დამოკიდებულია დაფინანსების ვარიანტებზე. ამ თვალსაზრისით, საქართველოში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაზე ზემოქმედებას იქონიებს ის, თუ რამდენად არის შესაძლებელი ეროვნული საბიუჯეტო სახსრების, ევროკავშირის ფინანსური ინსტრუმენტებისა და წყალმოსარგებლების სახსრების გამოყენება. უნდა გაირკვეს, მდინარის სააუზო მართვის გეგმით (რომელიც მოიცავს ღონისძიებათა პროგრამას) განსაზღვრული რომელი ღონისძიება შეიძლება დაფინანსდეს ამა თუ იმ წყაროდან.

## ვადების გახანგრძლივება

„წყლის ჩარჩო დირექტივის“ მუხლი 4.4-ს თანახმად შესაძლებელია კარგი სტატუსის ეტაპობრივად მიღწევა. აღნიშნული მუხლის საფუძველზე ეს პროცესი შეიძლება 12 წლამდე გაიწეროს. თუმცა, იმ შემთხვევებში, როდესაც ბუნებრივი პირობები შემზღუდავ ფაქტორს წარმოადგენს, კარგი სტატუსის მიღწევის საბოლოო ვადა არ უნდა განისაზღვროს.

ვადების გახანგრძლივება შესაძლებელია შემდეგ გარემოებებში:

- ბუნებრივი პირობების გამო შეუძლებელია კარგი სტატუსის დროულად მიღწევა; ან
- მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის პირველი ციკლის დასასრულისთვის კარგი სტატუსის მიღწევა ტექნიკურად განუხორციელებელი ან არათანაზომადად ძვირადღირებულია; მაგრამ
- მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის მესამე ციკლის დასრულებამდე კარგი სტატუსის მიღწევა ტექნიკურად განხორციელებადია და არ არის არათანაზომადად ძვირადღირებული.

## ბუნებრივი პირობები (იხ. „წყლის ჩარჩო დირექტივის მუხლი 4.4(ა)(III))

იმ შემთხვევაში, როდესაც კარგი სტატუსის მისაღწევად საჭირო ღონისძიებების ეფექტიანობისათვის აუცილებელია ბუნებრივი პროცესების დახმარება, შესაძლებელია კარგი სტატუსის მიღწევის ვადების გახანგრძლივება იმ დრომდე, როდესაც მოსალოდნელია აღნიშნული ბუნებრივი პროცესები. ასეთი შემთხვევებისთვის „წყლის ჩარჩო დირექტივა“ მაქსიმალურ ვადებს არ ადგენს.

მაგალითად:

*ისეთი ღონისძიებების დასრულების შემდეგ, რომლებიც ტექნიკურად განხორციელებადია და არ არის არათანაზომადად ძვირადღირებული, შესაძლებელია საჭირო იყოს მაგ. წყალდიდობის რამდენიმე სეზონი კარგი ეკოლოგიური სტატუსის უზრუნველსაყოფის მიზნით მდინარის წყლის ობიექტის მორფოლოგიური პირობების აღსადგენად.*

*ისეთი ღონისძიებების დასრულების შემდეგ, რომლებიც ტექნიკურად განხორციელებადია და არ არის არათანაზომადად ძვირადღირებული, წყლის ობიექტის აღსადგენად შესაძლებელია დამატებით საჭირო იყოს წყლის ობიექტში დამზინდურებლების შემცირების ბუნებრივი პროცესი. ეს არის პროცესი, რომელიც ბუნებრივ პირობებში განსაზღვრავს წყლის ობიექტის აღდგენის პერიოდს მასში დამზინდურებლების მოხვედრის შეწყვეტის შემდეგ.*

დაბინძურებულ წყლის ობიექტში წყლის ხარისხის გაუმჯობესების შემდეგ (მაგ., ტბაში ნუტრიენტების შემცველობის შემცირება ისეთ დონემდე, რომელიც საჭიროა კარგი სტატუსისათვის), კოლონიზაციის ბუნებრივ პროცესსა და კარგ სტატუსთან დაკავშირებული ფლორისა და ფაუნის აღდგენას შესაძლოა მრავალი წელი დასჭირდეს,

*ტექნიკურად განუხორციელებადობა და ხარჯების არათანაზომადობა (იხ. „წყლის ჩარჩო დირექტივის“ მუხლი 4.4(ა)(I) და (II))*

მიუხედავად იმისა, რომ ვადების გახანგრძლივება ეხება კონკრეტული წყლის ობიექტის მიზნებს, გადაწყვეტილება ვადების გახანგრძლივების თაობაზე შეიძლება მიღებულ იქნეს:

- წყლის კონკრეტულ ობიექტზე კარგი სტატუსის მისაღწევად საჭირო ღონისძიებებთან; ან
- წყლის რამდენიმე ან ყველა ობიექტზე კარგი სტატუსის მისაღწევად საჭირო ღონისძიებათა პროგრამასთან მიმართებაში.

ეს იძლევა წყლის რამდენიმე ობიექტის გაუმჯობესებისაკენ მიმართული კონკრეტული პროგრამის ტექნიკური მიზანშეწონილობისა და მისი ხარჯებისა და სარგებლის გათვალისწინების შესაძლებლობას. მაგალითად, მდინარის სააუზო მართვის პირველი ციკლის დასასრულისთვის წყლის ობიექტების სისტემის ყველა წყლის ობიექტზე კარგი სტატუსის მიღწევა შესაძლოა განუხორციელებადი იყოს მწირი ტექნიკური შესაძლებლობების გამო. არსებული ტექნიკური შესაძლებლობები შეიძლება გამოყენებულ იქნეს წყლის ობიექტების უფრო მცირე, პრიორიტეტულ ჯგუფზე კარგი სტატუსის მისაღწევად. დაგეგმვის პირველი ციკლის ფარგლებში კარგი სტატუსის მიღწევა ტექნიკურად შეუძლებელია და ღონისძიებები დაგეგმვის მომდევნო ციკლებზე უნდა გადანაწილდეს.

### *ტექნიკურად განუხორციელებადობა და ხარჯების თანაზომადობა*

შეიძლება აღმოჩნდეს, რომ კარგი სტატუსის მიღწევა მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის პირველი ციკლის დასასრულისთვის არათანაზომადად ძვირადღირებულია. თუმცა, პროგნოზის თანახმად, მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის მომდევნო ციკლების განმავლობაში არსებული პირობები შესაძლებელს გახდის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას უფრო ხანგრძლივ ვადებში (მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის ორი ციკლი - 12 თვე), რაც შეამცირებს მათ ხარჯებს და უზრუნველყოფს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას. ასეთ შემთხვევაში მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ღონისძიებების ეტაპობრივად განხორციელების შესაძლებლობა, რითიც უზრუნველყოფილი იქნება ხარჯების თანაზომადობა.

### **ნაკლებად მკაცრი მიზნების დასახვა**

„ნაკლებად მკაცრი მიზანი“ არ ნიშნავს იმას, რომ

- დასაშვებია ხარისხის სხვა ელემენტებით სტატუსის გაუარესება, რომელიც განსაზღვრულია ყველაზე დიდი ზემოქმედების ქვეშ მყოფი ხარისხის ელემენტით,
- შესაძლებელია ხარისხის სხვა ელემენტის მდგომარეობის გაუმჯობესების პოტენციალის უგულებელყოფა.

ე.წ. „ნაკლებად მკაცრი მიზნების“ მისაღწევად შეიძლება საჭირო გახდეს ისეთივე, ან სულაც უფრო მკაცრი ზომების განხორციელება, რომლებიც საჭიროა ისეთი წყლის ობიექტებისათვის, რომლებისათვის მიზანს კარგი სტატუსი წარმოადგენს.

*მაგალითად, წყლის ობიექტს განსაზღვრული აქვს უფრო მკაცრი მიზანი ისეთი წყალაღების გამო, რომლის შემცირება არათანაზომად ხარჯებს მოითხოვს. წყლის ასეთ ობიექტში დამბინძურებლების კუთხით გარემოსდაცვითი ხარისხის სტანდარტის მისაღწევად საჭიროა წყალჩაშვების უფრო მკაცრი კონტროლი (უფრო მკაცრი წყალჩაშვების ზღვრული სიდიდეების დაცვა), ვიდრე ისეთ ობიექტში, საიდანაც წყალაღება არ ხორციელდება.*

## **გახანგრძლივებული ვადებისა და ნაკლებად მკაცრი მიზნების გამოყენებასთან დაკავშირებული ცალკეული შეზღუდვები**

გახანგრძლივებული ვადებისა და ნაკლებად მკაცრი მიზნების გამოყენებასთან დაკავშირებით მოქმედებს რიგი შეზღუდვებისა. გახანგრძლივებული ვადების ან ნაკლებად მკაცრი მიზნების დადგენა არ შეიძლება იმ შემთხვევებში, როდესაც:

- ეს საფრთხეს უქმნის „წყლის ჩარჩო დირექტივის“ მუხლი 4.2-ით განსაზღვრული უფრო მკაცრი მიზნის მიღწევას. მაგალითად, თუ ნაკლებად მკაცრი მიზნის დასახვა ზემოქმედებას ახდენს მიზანზე, რომელიც ითვალისწინებს სტატუსის გაუარესების დაუშვებლობას, ასევე დაცული ზონის მიზანზე, ან მიწისქვეშა წყლების შემთხვევაში - მიზანზე, რომელიც დაკავშირებულია უარყოფითი ხასიათის ტენდეციის შეცვლასთან.
- მოხდება ზემოქმედების ქვეშ მოქცეული წყლის ობიექტის სტატუსის გაუარესება (იხ. „წყლის ჩარჩო დირექტივის“ მუხლი 5.4 და 5.5(გ)). მაგალითად, თუ ნაკლებად მკაცრი მიზნის დასახვა ან ვადების გახანგრძლივება წყლის ობიექტს ჩააგდებს ისეთ მდგომარეობაში, რომ ადვილად დაექვემდებაროს სტატუსის გაუარესებას (მაგ., დამბინძურებლების უკონტროლოდ ჩაშვებასთან გამკლავების პოტენციალი), გახანგრძლივებული ვადების ან ნაკლებად მკაცრი მიზნების გამოყენება დაუშვებელია.
- სამუდამოდ გამოირიცხება წყლის სხვა ობიექტებზე „წყლის ჩარჩო დირექტივის“ მიზნების მიღწევის შესაძლებლობა (იხ. „წყლის ჩარჩო დირექტივის“ მუხლი 4.8: „პუნქტი 3, 4, 5, 6 და 7-ის გამოყენების დროს, ევროკავშირის წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ამ პუნქტების გამოყენებამ არ გამოირიცხოს ან საფრთხე არ შეუქმნას მდინარის აუზის იმავე რაიონში არსებული წყლის ობიექტების მიერ წინამდებარე დირექტივის მიზნების შესრულებას, და რომ ამ პუნქტების გამოყენება თავსებადი იყოს ევროკავშირის სხვა გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან“). ამ მოთხოვნის პრაქტიკული ეფექტი გახანგრძლივებული ვადებისა და ნაკლებად მკაცრი მიზნების კონტექსტში შეზღუდულია, ვინაიდან ორივე ეს განსაკუთრებული პირობა დროშია შეზღუდული და სავარაუდოდ სამუდამოდ ვერ გააუარესებს წყლის სხვა ობიექტების გაუმჯობესების პოტენციალს.
- საფრთხე ექმნება წყლის სხვა ობიექტებზე დირექტივის მიზნების შესრულებას (იხ. „წყლის ჩარჩო დირექტივის“ მუხლი 4.8). მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ვადების გახანგრძლივებით ან ნაკლებად მკაცრი მიზნების დასახვით საფრთხე ექმნება ევროკავშირის სხვა საკანონმდებლო აქტით, მათ შორის დაცული ტერიტორიების

დაარსებასთან დაკავშირებული კანონმდებლობით, განსაზღვრული მიზნების ან ღონისძიებების შესრულებას, ასეთი მიზნების განსაზღვრა დაუშვებელია.

- არ არის გარანტირებული ევროკავშირის არსებული კანონმდებლობით განსაზღვრული დაცვის დონე (იხ. „წყლის ჩარჩო დირექტივის“ მუხლი 4.9: „მიღებულ უნდა იქნეს ზომები იმისათვის, რომ ახალი დებულებების, მათ შორის პუნქტი 3, 4, 5, 6 და 7-ის გამოყენებით უზრუნველყოფილ იქნეს დაცვის სულ მცირე იგივე დონე, რაც ევროკავშირის არსებული კანონმდებლობის შემთხვევაში“). იმ შემთხვევაში, თუ ვადების გახანგრძლივებით ან ნაკლებად მკაცრი მიზნების დასახვით საფრთხე ექმნება დაცული ტერიტორიებისთვის განსაზღვრული სტანდარტებისა და მიზნების შესრულებას, ვადების გახანგრძლივება ან ნაკლებად მკაცრი მიზნების დასახვა დაუშვებელია.

### **ღონისძიებების კომბინაცია და მიზნების განსაზღვრა**

იმისათვის, რომ გაირკვეს, იქნება თუ არა კარგი სტატუსის მიღწევა არათანაზომიდან ძვირადღირებული ან ტექნიკურად განუხორციელებადი, შესაბამისი შეფასება უნდა ჩატარდეს კარგი სტატუსის მისაღწევად საჭირო ღონისძიებებს.

ნაკლებად მკაცრი მიზნის დადგენამდე ან ვადების გახანგრძლივებამდე საჭიროა ღონისძიებების ყველაზე ხარჯეფექტიანი კომბინაციების იდენტიფიცირება, რომლებიც სრულად მოიცავენ ყველა ზემოქმედებას (მაგ., დაბინძურებასთან დაკავშირებული ზემოქმედება, წყლის რესურსებთან დაკავშირებული ზემოქმედება, ჰაბიტატებთან დაკავშირებული ზემოქმედება). ზოგიერთ შემთხვევაში, ერთი ღონისძიება შეიძლება ერთზე მეტი ზემოქმედების წინააღმდეგ იყოს მიმართული (მაგ., ჰაბიტატების გაუმჯობესებამ შეიძლება ხელი შეუწყოს დამბინძურებლების შერევას და დაშლას).

კარგი სტატუსის მისაღწევად საჭიროა ყველა იმ ზემოქმედებასთან ბრძოლა, რომელიც ხელს უშლის კარგი სტატუსის მიღწევას. უფრო ნაკლებად მკაცრი მიზნის დასახვა ან ვადების გახანგრძლივება გამართლებულია იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთი ზემოქმედების წინააღმდეგ იდენტიფიცირებული ღონისძიებების ერთ-ერთი ხარჯეფექტიანი კომბინაცია არათანაზომიდან ძვირადღირებულია.

კარგი სტატუსის მიღწევის ხელშემშლელი ზემოქმედებების საწინააღმდეგო ღონისძიებების ხარჯეფექტიანი კომბინაციები შეიძლება მოიცავდეს ისეთ ზომებს, რომლებიც უნდა მიიღონ სხვადასხვა დარგებმა ან წყალმოსარგებლებმა (მაგ., ერთი დარგის მიერ მიღებული ზომა არ მოხსნის ზემოქმედებას, თუ სხვა დარგიც არ მიიღებს შესაბამის ზომას). ამიტომ მდინარეთა სააუზო მართვისთვის საჭიროა ეფექტიანი დარგთაშორისი და დარგობრივი დაგეგმვისა და თანამშრომლობის გარკვეული ფორმის შემუშავება.

# ვადების გახანგრძლივების მაგალითები

წინამდებარე თავში წარმოდგენილია ვადების გახანგრძლივების რამდენიმე მაგალითი შემდეგი შემთხვევებისთვის:

- მორფოლოგია - ფიზიკური ცვლილება
- ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობების ჩამდინარე წყლები
- კარიერები და დაბინძურებული ტერიტორიები - მიწისქვეშა წყლების დაბინძურება
- სოფლის მეურნეობა: ზედაპირული ჩამონადენით სასოფლო-სამეურნეო მიწებიდან ფოსფორის გაჟონვა
- ქიმიური დაბინძურება და ქიმიური სტატუსის დაქვეითება - პრიორიტეტული ნივთიერებები და სპეციფიკური დამბინძურებლები

ერთ მაგალითში ნაჩვენებია, თუ როგორ შეიძლება გაუარესდეს წყლის ობიექტის საერთო ეკოლოგიური სტატუსი ახალი ცვლილების შედეგად და საჭირო გახდეს მუხლი 4.7-ში აღწერილი შეფასების ჩატარება.

## მაგალითი 1 - მორფოლოგია - ფიზიკური ცვლილება

**ზეწოლა/მიზები:**

ფიზიკური ცვლილება (კალაპოტის დანაწევრების რისკი)

**“გამონაკლისის” პირობების სახეობა:**

ვადების გახანგრძლივება: ფიზიკური აღდგენა - კვლევისა და მონიტორინგის შედეგებიდან ჩანს, რომ სტატუსის აღდგენა მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის პირველი ციკლს გასცდება.

**“გამონაკლისის” პირობების გამოყენების მიზეზები:**

გაჯანსაღებისთვის შეირჩა წყლის ობიექტები, რომლებიც ხასიათდება კალაპოტის დანაწევრების რისკით და მაკროუხერხემლოების კარგი, მაგრამ თევზების ცუდი სტატუსით (რაც ზემოქმედებაზე მიუთითებს). იქ, სადაც, სავარაუდოდ ხდება ზემოქმედება, მაგრამ თევზის სტატუსით ამის დადასტურება ვერ ხერხდება, საჭიროა კვლევების ჩატარება. კვლევებმა აჩვენა, რომ დამშრალ კალაპოტებში აღდგენის სამუშაოების ჩატარებით შესაძლებელია თევზების საარსებო პირობების მნიშვნელოვნად გაუმჯობესება. გაჯანსაღებაში მოიაზრება კალაპოტში ფიზიკური მრავალფეროვნების შეტანა, ბუნებრივთან მიახლოებული კალაპოტების შექმნა, რასაც დადებითი ეკოლოგიური ზემოქმედება ექნება. გარკვეული დროის შემდეგ მოხდება თევზის პოპულაციების აღდგენა.

**ხარისხის ელემენტები, რომლებიც სავარაუდოდ მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებენ:**

თევზი

**თარიღი:**

მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის მესამე ციკლის დასასრული



## **დასკვნა:**

წყლის შესაბამისი ობიექტებისთვის მოხდა ვადების გახანგრძლივება საჭირო ღონისძიებების განხორციელებისა და აღდგენისათვის საჭირო დროის უზრუნველსაყოფად.

## **მაგალითი 2 - გამწმენდი ნაგებობების ჩამდინარე წყლები**

### **ზეწოლა/მიზეზი:**

ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობებიდან წყალჩაშვება.

### **“გამონაკლისის” პირობების სახეობა:**

ვადების გახანგრძლივება: ტექნიკური ხასიათის შეზღუდვები - პრაქტიკული ხასიათის შეზღუდვები.

### **“გამონაკლისის” პირობების გამოყენების მიზეზები:**

ურბანული ნარჩენი წყლების გაწმენდის რეგლამენტის მოთხოვნებიდან, საექსპლუატაციო პრობლემებიდან (გადატვირთულობა და ასიმილაციის არასაკმარისი სიმძლავრე), მიმღებ წლის ობიექტზე არსებული ზემოქმედებისა და სენსიტიურ უბანზე ჩამდინარე წყლის ჩაშვებიდან გამომდინარე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ნარჩენი წყლების გამწმენდი ნაგებობის მოდერნიზების შესახებ. ნარჩენი წყლის გამწმენდი ნაგებობის მოდერნიზების პროექტის მომზადებისთვის და თანხმობების და ნებართვების მისაღებად საჭირო დროის გათვალისწინებით, მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის პირველი ციკლის დასასრულს კარგი სტატუსის მიღწევა ტექნიკურად შეუძლებელია.

### **ხარისხის ელემენტები, რომლებიც სავარაუდოდ მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებენ:**

მაკროუხერხემლოების თანასაზოგადოება და ძირითადად ფოსფორის დონეები და ჟმმ, რომლებიც ეკოლოგიურ სტატუსს განსაზღვრავენ.

### **თარიღი:**

მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის მეორე ციკლის დასასრული.

## **დასკვნა:**

წყლის მიმღები ობიექტისთვის გახანგრძლივებულ იქნა ვადები იმის გათვალისწინებით, რომ პრაქტიკული ფაქტორების გამო კარგი სტატუსის მიღწევა მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის პირველი ციკლის დასასრულისთვის ვერ მოხერხდება.

## **მაგალითი 3 - კარიერები და დაბინძურებული ტეროტორიები (მიწისქვეშა წყლების დაბინძურება)**

### **ზეწოლა/მიზეზი:**

მიწისქვეშა წყლების დაბინძურების წყაროების რისკი (კარიერები და დაბინძურებული მიწები).

### **“გამონაკლისის” პირობების სახეობა:**

ვადების გახანგრძლივება: ფიზიკური აღდგენა - კვლევისა და მონიტორინგის შედეგებიდან ჩანს, რომ სტატუსის აღდგენა მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის პირველი ციკლს გასცდება.

**“გამონაკლისის” პირობების გამოყენების მიზეზები:**

დაბინძურებული ტერიტორიებისა და კარიერების ზემოქმედების ქვეშ მოქცეული წყლის ობიექტებისათვის უნდა ჩატარდეს საველე კვლევები და აღდგენის პროგრამები. ლიტერატურული წყაროების თანახმად, მნიშვნელოვანი ზემოქმედების შემთხვევაში (ისტორიულად დაბინძურებული ტერიტორიების ან/და სამთო-მოპოვებითი უბნების ქვეშ არსებული დაბინძურებული მიწისქვეშა წყლები), სტატუსის აღდგენა შეიძლება დაგეგმვის სამ ციკლზე (18 წელი) ბევრად ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდეს. ასევე შეიძლება საჭირო გახდეს წყლის ობიექტებისთვის **ნაკლებად მკაცრი მიზნების განსაზღვრა**, ვინაიდან აღდგენა შეიძლება დაგეგმვის სამი ციკლის განმავლობაში ვერ მოესწროს, ან ხარჯების თანაზომადობის ანალიზმა (რომელიც გარემოსდაცვით სარგებელს აფასებს) შეიძლება აჩვენოს, რომ აუცილებელი ღონისძიებები (რომლებიც შეიძლება ძვირადღირებული იყოს) ეკონომიკურად გაუმართლებელია.

**ხარისხის ელემენტები, რომლებიც სავარაუდოდ მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებენ:**

ქიმიური სტატუსი და ეკოლოგიური სტატუსის განმსაზღვრელი ელემენტები.

**თარიღი:**

მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის მესამე ციკლის დასასრული.

**დასკვნა:**

მიმდები წყლის ობიექტისთვის მიზნის მიღწევის ვადები გახანგრძლივდა მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის პირველი ციკლის დასასრულს კარგი სტატუსის მისაღწევად პრაქტიკული ხასიათის ხელშემშლელი ფაქტორების არსებობის გამო.

**მაგალითი 4 - სოფლის მეურნეობა: დაბინძურება ფოსფორით**

**ზეწოლა/მიზეზი:**

ზედაპირული ჩამონადენით სასოფლო-სამეურნეო მიწებიდან ფოსფორის გაჟონვა.

**“გამონაკლისის” პირობების სახეობა:**

ვადების გახანგრძლივება: ფიზიკური აღდგენა - კვლევისა და მონიტორინგის შედეგებიდან ჩანს, რომ სტატუსის აღდგენა მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის პირველი ციკლს გასცდება.

**“გამონაკლისის” პირობების გამოყენების მიზეზები:**

კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის (GAP) რეგულაციების შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის შეცვლის შემდეგაც ცალკეულ ტერიტორიებზე ნიადაგებში P ნუტრიენტის შემცველობის მაღალი დონის შემცირებას საკმაოდ დრო დასჭირდება, შესაბამისად, წყალში ისევ იქნება ნუტრიენტები (აღდგენას სავარაუდოდ 7-15 წელი დასჭირდება). ზედაპირული წყლის ობიექტი შემოსაზღვრულია ძირითადად სველი და

თიხიანი ნიადაგებით, რომლებიც P-ს დესორბციის დაბალი მაჩვენებლით ხასიათდებიან. იდენტიფიცირებულ იქნა ტბების წყალშემკრებიც, რომლებიც მოიცავს ნუტრიენტების მაღალი კონცენტრაციის და/ან ევტროფიკაციის ზემოქმედების ქვეშ მყოფი და აღდგენის დაბალი მაჩვენებლის მქონე მდინარის წყლის ობიექტებს.

**ხარისხის ელემენტები, რომლებიც სავარაუდოდ მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებენ:**

ფოსფორის დონე, როგორც ეკოლოგიურ სტატუსზე უარყოფითი ზემოქმედების მქონე ელემენტი.

**თარიღი:**

მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის მეორე ციკლის დასასრული.

**დასკვნა:**

წყლის შესაბამისი ობიექტებისთვის მიზნის მიღწევის ვადები გახანგრძლივდა სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის (GAP) რეგულაციების შესრულების შემდეგ აღდგენისთვის საჭირო დროის უზრუნველსაყოფად.

## **მაგალითი 5 - ქიმიური დაბინძურება და ქიმიური სტატუსის დაქვეითება**

**ზეწოლა/მიზეზი :**

ზედაპირული წყლის ყველა ობიექტში ქიმიური სტატუსის დაქვეითება პრიორიტეტული ნივთიერებების მიერ (არსებული მწირი მონაცემების საფუძველზე, ძირითადად, პოლიარომატული ნახშირწყალბადები) და გარდამავალი და სანაპირო წყლების ქიმიური დაბინძურება (სპეციფიკური დამბინძურებლებით).

**“გამონაკლისის” პირობების სახეობა:**

ვადების გახანგრძლივება: ტექნიკური ხასიათის შეზღუდვები - პრობლემის მიზეზის ან გადაწყვეტილებით მიღებული სარგებლის გაურკვეველობა.

**“გამონაკლისის” პირობების გამოყენების მიზეზები:**

უკანასკნელ დროს მონიტორინგის ეროვნული პროგრამის გაფართოების შედეგად, პროგრამამ ნივთიერებათა უფრო ფართო სპექტრი მოიცვა. თუმცა, ზედაპირული წყლების ქიმიური სტატუსის შეუსაბამობის და გარდამავალ და სანაპირო წყლებში ქიმიური დაბინძურების მასშტაბების დასადგენად მეტი დროა საჭირო. უფრო მეტი დროა საჭირო კონცენტრაციების (მაგ., პოლიარომატული ნახშირწყალბადების) გადაჭარბების მიზეზებისა და წყაროების დასადგენად და საჭირო ზომების გამოსავლენად და განსახორციელებლად.

**ხარისხის ელემენტები, რომლებიც სავარაუდოდ მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებენ**

პრიორიტეტული ნივთიერებები, სპეციფიკური დამბინძურებლები.

**თარიღი:**

მდინარის სააუზო მართვის დაგეგმვის მეორე ციკლის დასასრული.

**დასკვნა:**

ზედაპირული წყლის შესაბამისი ობიექტებისთვის მიზნის მიღწევის ვადები გახანგრძლივდა ქიმიური შეუსაბამობების წყაროებისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების გამოსავლენად.

## მაგალითი 6 - საერთო სტატუსის გაუარესება (ახალი ცვლილება)

### ზეწოლა/მიზეზი:

საერთო სტატუსის გაუარესება ზედაპირული წყლის ობიექტის ფიზიკური მახასიათებლების ახალი ცვლილების შედეგად.

### საწყისი მდგომარეობა:

ყველაზე უარეს მდგომარეობაში მყოფი ხარისხის ელემენტით განპირობებული საერთო ეკოლოგიური სტატუსი (ამ შემთხვევაში - საშუალო)

### ცვლილების გავლენა:

საერთო სტატუსის შეიძლება გაუარესდეს ხარისხის ცალკეული ელემენტების გაუარესების შედეგად (ამ შემთხვევაში - ბენტოსური უხერხემლოები და თევზები მორფოლოგიის გაუარესების შედეგად) და საჭირო გახდეს მუხლი 4(7)-ში აღწერილი შეფასების ჩატარება. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს წყლის ობიექტის საერთო სტატუსის კარგიდან ცუდამდე დაქვეითებას (მაგალითი აღებულია განხორციელების საერთო სტრატეგიის (CIS) სახელმძღვანელო დოკუმენტი N36-დან “წყლის ჩარჩო დირექტივის „მუხლი 4(7)-ის შესაბამისად გარემოსდაცვით მიზნებთან დაკავშირებული განსაკუთრებული პირობების შესახებ“ (2017 წ.)

ხარისხის ელემენტი	ხარისხის ბიოლოგიური ელემენტები			ხარისხის ჰიდრომორფოლოგიური ელემენტები			ხარისხის ფიზიკურ-ქიმიური ელემენტები		საერთო ეკოლოგიური სტატუსი
	წყლის ფლორა	ბენტოსური უხერხემლოები	თევზები	ჰიდროლოგია	მორფოლოგია	უწყვეტობა	GP*	SpS**	
საწყისი მდგომარეობა	2	2	3	2	2	2	2	2	3
ცვლილების გავლენა	2	3	4	2	2	2	2	2	4

\*GP - ზოგადი ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრი; \*\*სპეციფიკური ნივთიერებები

ს ტ ა ტუს ე ბ ი : 1: მ ა ლ ა ლ ; 2: კ ა რ გ ი ; 3: ს ა შ უ ა ლ ; 4: ც უ დ ; 5: ძ ი ა ნ ც უ დ

## დამატებითი ინფორმაცია და წყაროები

ევროკავშირის დირექტივა 2000/60/EC, რომელიც ქმნის წყლის პოლიტიკის სფეროში ევროპის თანამეგობრობის ერთობლივი მოქმედების ჩარჩოს („წყლის ჩარჩო დირექტივა“)

განხორციელების საერთო სტრატეგია (C.I.S.) “სახელმძღვანელო დოკუმენტი N4 – „ძლიერად მოდიფიცირებული და ხელოვნური წყლის ობიექტების იდენტიფიცირებისა და განსაზღვრა“

განხორციელების საერთო სტრატეგია (C.I.S.) “სახელმძღვანელო დოკუმენტი N20 გარემოსდაცვით მიზნებთან დაკავშირებული განსაკუთრებული პირობების შესახებ“

განხორციელების საერთო სტრატეგია (C.I.S.) “სახელმძღვანელო დოკუმენტი N36 მუხლი 4(7)-ის შესაბამისად გარემოსდაცვით მიზნებთან დაკავშირებული განსაკუთრებული პირობების შესახებ“ (2017)

გარეთიანებული სამეფოს ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობისა და გენეტიკისთვის (UK TAG) „წყლის ჩარჩო დირექტივის“ შესახებ: სახელმძღვანელო დოკუმენტი მიწისქვეშა წყლების იმ ობიექტების იდენტიფიცირების საკითხებზე, რომლებიც ნაკლებად მკაცრ მიზნებს საჭიროებენ (2005 წ.).

## ნახაზები და ცხრილები

ნახ. 1: გარემოსდაცვითი მიზნების დადგენის პროცესის სქემა.

ნახ. 2: გაუმჯობესების მიზნების დასახვის ეტაპობრივი მიდგომა (განხორციელების საერთო სტრატეგიის (CIS) სახელმძღვანელო დოკუმენტი N20-ის საფუძველზე, 2009 წ.)

ნახ. 3: გახანგრძლივებული ვადებისა და ნაკლებად მკაცრი მიზნების გამოყენების ეტაპობრივი მიდგომა.

ნახ.4 გახანგრძლივებული ვადებისა და ნაკლებად მკაცრი მიზნების გამოყენების ეტაპობრივი მიდგომა.

ცხრილი1: კრიტერიუმები ძლიერად სახეცვლილი წყლის ობიექტების HMWB წინასწარი ნუსხის შესადგენად (მორფოლოგიური ზეწოლების ზღვრული მნიშვნელობების საფუძველზე).

ცხრილი 2: საბანაო წყლების ხარისხის სტანდარტები საბანაო წყლების შესახებ დირექტივის (2006/7/EC) მიხედვით.

# დანართი 1. „წყლის ჩარჩო დირექტივის“ მუხლი 4, რომელიც ეხება ალტერნატიულ მიზნებს

## მუხლი 4.4

წყლის ობიექტების მიერ მიზნების ეტაპობრივად შესრულების უზრუნველსაყოფად შესაძლებელია პუნქტი 1-ის საფუძველზე დადგენილი ვადების გახანგრძლივება იმ პირობით, თუ ყველა შემდეგი პირობის შესრულების შემთხვევაში არ მოხდება ზემოქმედების ქვეშ მოქცეული წყლის ობიექტის სტატუსი შემდგომი გაუარესება:

(ა) ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ადგენენ, რომ წყლის ობიექტების სტატუსის გაუმჯობესება შეუძლებელია ამ პუნქტით დადგენილ ვადებში სულ მცირე ერთ-ერთი შემდეგი მიზეზის გამო:

(i) ტექნიკური მოსაზრებებით გაუმჯობესების საჭირო დონის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ დადგენილზე ხანგრძლივ ვადებში;

(ii) დადგენილ ვადებში წყლის ობიექტის სტატუსის გაუმჯობესება არათანაზომიად მკირადღირებული იქნება;

(iii) ბუნებრივი პირობები არ იძლევა წყლის ობიექტის სტატუსის დროულად გაუმჯობესების შესაძლებლობას.

ბ) გახანგრძლივებული ვადები და შესაბამისი მიზეზები განსაზღვრულია და აღწერილი მუხლი 13-ის თანახმად მომზადებულ მდინარის სააუზო მართვის გეგმაში.

გ) ვადების გახანგრძლივება შესაძლებელია მხოლოდ მდინარის სააუზო მართვის გეგმის მაქსიმუმ ორჯერ განახლებით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბუნებრივი პირობების გამო დადგენილ ვადებში მიზნების მიღწევა შეუძლებელია.

დ) მუხლი 11-ით გათვალისწინებული იმ ზომების, რომლებიც აუცილებელია გახანგრძლივებულ ვადებში წყლის ობიექტის სასურველი სტატუსის თანდათანობით მისაღწევად და აღნიშნული ზომების განხორციელებაში მნიშვნელოვანი შეფერხებების მიზეზების მოკლე აღწერა, აგრეთვე მათი განხორციელების გრაფიკი წარმოდგენილია მდინარის სააუზო მართვის გეგმაში. ამ ზომების განხორციელების მიმოხილვა და დამატებითი ზომების მოკლე აღწერა წარმოდგენილი უნდა იყოს მდინარის სააუზო მართვის გეგმების განახლებულ ვარიანტებში.

## მუხლი 4.5

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოები შეუძლიათ პუნქტი 1-ში განსაზღვრულ მიზნებთან შედარებით ნაკლებად მკაცრი მიზნების დასახვა წყლის იმ კონკრეტული ობიექტებისათვის, რომლებიც იმყოფებიან ადამიანის საქმიანობის მუხლი 5(1)-ის შესაბამისად დადგენილი ისეთი ზემოქმედების ქვეშ, ან მათი ბუნებრივი პირობები ისეთია, რომ ამ მიზნების მიღწევა შეუძლებელი ან არათანაზომიად მკირადღირებული იქნება, და შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

(ა) ადამიანის აღნიშნული საქმიანობით უზრუნველყოფილი გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური სარგებლის მიღება სხვა ისეთი საშუალებით, რომლებიც გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მნიშვნელოვნად უკეთესია და არ არის დაკავშირებული არათანაზომად ხარჯებთან, შეუძლებელი იყო;

(ბ) ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ:

— ზედაპირული წყლებისთვის შემთხვევაში, უმაღლესი შესაძლებელი ეკოლოგიური და ქიმიური სტატუსის მიღწევას იმ ზემოქმედებების პირობებში, რომელთა აცილება გონივრულად შეუძლებელია ადამიანის საქმიანობის ხასიათიდან ან დაბინძურებიდან გამომდინარე;

— მიწისქვეშა წყლებისთვის შემთხვევაში, მიწისქვეშა წყლების კარგი სტატუსის მინიმალურ ცვლილებას იმ ზემოქმედებების პირობებში, რომელთა აცილება გონივრულად შეუძლებელია ადამიანის საქმიანობის ხასიათიდან ან დაბინძურებიდან გამომდინარე;

(გ) ზემოქმედების ქვეშ მოქცეული წყლის ობიექტის სტატუსის შემდგომ გაუარესებას ადგილი არ აქვს;

(დ) ნაკლებად მკაცრი გარემოსდაცვითი მიზნები და შესაბამისი მიზეზები დადგენილია და აღწერილი მუხლი 13-ის თანახმად მომზადებულ მდინარის სააუზო მართვის გეგმაში, ხოლო მიზნების გადახედვა ყოველ 6 წელიწადში ერთხელ ხდება.

#### **მუხლი 4.6.**

წყლის ობიექტების სტატუსის დროებითი გაუარესება არ წარმოადგენს წინამდებარე დირექტივის მოთხოვნების დარღვევას, თუ აღნიშნული გამოწვეულია ბუნებრივი ან ფორს მაჟორული პირობებით, რაც წარმოადგენს განსაკუთრებულ შემთხვევებს ან მათი დასაბუთებულად პროგნოზირება შეუძლებელია, კერძოდ, ძლიერი წყალდიდობებით და ხანგრძლივი გვალვებით, ან წარმოადგენს ისეთი გარემოებების შედეგს, რომელთა დასაბუთებულად პროგნოზირება შეუძლებელია, იმ შემთხვევაში, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

(ა) მიღებულია ყველა პრაქტიკული ზომა წყლის ობიექტის სტატუსის შემდგომი გაუარესების და წყლის იმ სხვა ობიექტებზე, რომლებზეც აღნიშნული გარემოებები ზემოქმედებას არ ახდენენ, წინამდებარე დირექტივის მიზნების შეუსრულებლობის საფრთხის თავიდან ასაცილებლად;

(ბ) პირობები, რომელთა მიერ შექმნილი გარემოებები შეიძლება გამოცხადდეს განსაკუთრებულად ან ისეთ გარემოებებად, რომელთა დასაბუთებულად პროგნოზირება შეუძლებელი იყო, შესაბამისი ინდიკატორების ჩათვლით, წარმოდგენილია მდინარის სააუზო მართვის გეგმაში;

(გ) ასეთ განსაკუთრებულ გარემოებებში მისაღები ზომები წარმოდგენილია ღონისძიებათა პროგრამაში და ეს ზომები არ უქმნიან საფრთხეს წყლის ობიექტის ხარისხის აღდგენას აღნიშნული გარემოებების დასრულების შემდეგ;

(დ) ყოველწლიურად ხდება იმ გარემოებების გავლენის გადახედვა, რომლებიც განსაკუთრებულია ან შეუძლებელი იყო მათი დასაბუთებულად პროგნოზირება, და პუნქტი 4(ა)-ში მითითებული მიზეზების გამო, მიღებულია ყველა პრაქტიკული ზომა წყლის ამ ობიექტის სტატუსის აღსადგენად ამ გარემოებებით გამოწვეულ გავლენამდე არსებულ მდგომარეობამდე მაქსიმალურად მოკლე ვადებში; და



(ე) გარემოებების გავლენის და (ა) და (დ) პუნქტების შესაბამისად მიღებული ან მისაღები ასეთი ზომების მოკლე აღწერა წარმოდგენილია მდინარის სააუზო მართვის გეგმის მომდევნო განახლებულ ვარიანტში.

#### **მუხლი 4.7.**

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები არ არღვევენ დირექტივას იმ შემთხვევაში, როდესაც:

- როდესაც მიწისქვეშა წყლების კარგი სტატუსის, კარგი ეკოლოგიური სტატუსის, ან შესაბამის შემთხვევებში, კარგი ეკოლოგიური პოტენციალის მიღწევის ან ზედაპირული ან მიწისქვეშა წყლის ობიექტის სტატუსის გაუარესების თავიდან აცილების წარუმატებლობა გამოწვეულია ზედაპირული წყლის ობიექტის ფიზიკური მახასიათებლების ახალი ცვლილებით ან მიწისქვეშა წყლების ობიექტების დონის შეცვლით, ან
- ზედაპირული წყლის ობიექტის მაღალი სტატუსიდან კარგ სტატუსამდე დაქვეითება გამოწვეულია ახალი მდგრადი საქმიანობით და შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

(ა) მიღებულია ყველა პრაქტიკული ზომა წყლის ობიექტის სტატუსზე უარყოფითი ზემოქმედების შესარბილებლად;

(ბ) ამ ცვლილებების მიზეზები დადგენილია და აღწერილი მუხლი 13-ის თანახმად მომზადებულ მდინარის სააუზო მართვის გეგმაში, ხოლო მიზნების გადახედვა 6 წელიწადში ერთხელ ხდება;

(გ) ამ ცვლილებების მიზეზი უპირატეს საზოგადოებრივ ინტერესში მდგომარეობს და/ან პუნქტი 1-ში განსაზღვრული მიზნების მიღწევით გარემოსა და საზოგადოებისათვის მოსალოდნელი სარგებელი ნაკლებად წონადია, ვიდრე ის სარგებელი, რომელიც მოაქვს ამ ახალ ცვლილებებს ადამიანის ჯანმრთელობისთვის, ადამიანის უსაფრთხოების შენარჩუნებისა ან მდგრადი განვითარებისათვის, და

(დ) ის სარგებელი, რომელიც მიიღება წყლის ობიექტის ცვლილების შედეგად, ტექნიკური მოსაზრებებით ან არათანაზომადი ხარჯების გამო შეუძლებელია მიღებულ იქნეს სხვა ისეთი საშუალებებით, რომლებიც გარემოსდაცვითი თვალსაზრისით ბევრად უკეთესია.

#### **მუხლი 4.8.**

პუნქტი 3, 4, 5, 6 და 7-ის გამოყენების დროს, ევროკავშირის წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ამ პუნქტების გამოყენებამ არ გამორიცხოს ან საფრთხე არ შეუქმნას მდინარის აუზის იმავე რაიონში არსებული წყლის ობიექტების მიერ წინამდებარე დირექტივის მიზნების შესრულებას, და რომ ამ პუნქტების გამოყენება თავსებადი იყოს ევროკავშირის სხვა გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან.

#### **მუხლი 4.9.**

მიღებულ უნდა იქნეს ზომები იმისათვის, რომ ახალი დებულებების, მათ შორის პუნქტი 3, 4, 5, 6 და 7-ის გამოყენებით უზრუნველყოფილ იქნეს დაცვის სულ მცირე იგივე დონე, რაც ევროკავშირის არსებული კანონმდებლობის შემთხვევაშია.

## დანართი 2. ადამიანის მიერ გამოსაყენებლად განკუთვნილი წყლის გარემოსდაცვითი ხარისხის სტანდარტები (სასმელი წყლის დირექტივის 98/83/EC მიხედვით)

კანონმდებლობა ადამიანის მიერ გამოსაყენებლად განკუთვნილი წყლის დაცული ტერიტორიებისთვის (დირექტივა 98/83/EC)(ადამიანის მიერ გამოსაყენებლად განკუთვნილი წყლის ხარისხის შესახებ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივისთვის გაკეთებული წინადადების საფუძველზე)

პარამეტრი	სიდიდე	ერთეული	შენიშვნა
<b>მიკრობიოლოგიური პარამეტრები</b>			
<i>Clostridium perfringens</i> სპორები	0	რაოდენობა/100 მლ	
კოლიფორმული ბაქტერია	0	რაოდენობა/100 მლ	
ენტეროკოკები	0	რაოდენობა/100 მლ	
ნაწლავის ჩხირი ( <i>E. coli</i> )	0	რაოდენობა/100 მლ	
ჰეტეროტროფული ბაქტერიების ტესტი (HPC) 22°C	ანომალური ცვლილება არ არის		
სომატური კოლიფაგები	0	რაოდენობა/100 მლ	
სიმღვრივე	<1	NTU	
<b>ქიმიური პარამეტრები</b>			
აკრილამიდი	0,1	მკგ/ლ	შენიშვნა 1
სტიბიუმი	5,0	მკგ/ლ	
დარიშხანი	10,0	მკგ/ლ	
ბენზენი	1,0	მკგ/ლ	
ბენზო(a)პირენი	1,0	მკგ/ლ	

ბისფენოლ A	0,01	მკგ/ლ	
ბორი	1,0	მკგ/ლ	
ბრომიტი	10,0	მკგ/ლ	
კადმიუმი	5,0	მკგ/ლ	
ქლორატი	0,25	მკგ/ლ	
ქლორიტი	0,25	მკგ/ლ	
ქრომი	25,0	მკგ/ლ	შენიშვნა 2
სპილენძი	2,0	მკგ/ლ	
ციანიდი	50,0	მკგ/ლ	
1,2-დიქლორეთანი	3,0	მკგ/ლ	
ეპიქლორჰიდრინი	0,1	მკგ/ლ	შენიშვნა 3
ფტორიდი	1,5	მკგ/ლ	
ჰალოგენზანაცვლებული ძმარმჟავა (HAA5)	80,0	მკგ/ლ	შენიშვნა 4
ტყვია	5,0	მკგ/ლ	შენიშვნა 5
ვერცხლისწყალი	1,0	მკგ/ლ	
ნიკელი	20,0	მკგ/ლ	
ნიტრატი	50,0	მკგ/ლ	შენიშვნა 6
ნიტრიტი	0,50	მკგ/ლ	შენიშვნა 7
ნონილფენოლი	0,3	მკგ/ლ	
პესტიციდები	0,10	მკგ/ლ	შენიშვნა 8
პესტიციდები - ჯამური	0,50	მკგ/ლ	შენიშვნა 9
PFAS	0,10	მკგ/ლ	შენიშვნა 10
PFAS - ჯამური	0,50	მკგ/ლ	შენიშვნა 11
პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადები	0,10	მკგ/ლ	შენიშვნა 12

სელენიუმი	10,0	მკგ/ლ	
ტეტრაქლორეთილენი და ტრიქლორეთილენი	10,0	მკგ/ლ	შენიშვნა 13
ტრიპალომეთანები ჯამური	100,0	მკგ/ლ	შენიშვნა 14
ურანი	30,0	მკგ/ლ	
ვინილის ქლორიდი	0,50	მკგ/ლ	შენიშვნა 15

შენიშვნა 1. პარამეტრის ეს სიდიდე ეხება წყალში მონომერის ნარჩენ კონცენტრაციას, გამოანგარიშებულს წყალთან კონტაქტის შედეგად შესაბამისი პოლიმერიდან მაქსიმალური გამოთავისუფლების სპეციფიკაციის შესაბამისად.

შენიშვნა 2. სიდიდე მიღწეულ უნდა იქნეს არაუგვიანეს (დირექტივის ძალაში შესვლიდან 10 წელიწადში). ამ დრომდე ქრომის პარამეტრის სიდიდეა 50 მკგ/ლ.

შენიშვნა 3. პარამეტრის ეს სიდიდე ეხება წყალში მონომერის ნარჩენ კონცენტრაციას, გამოანგარიშებულს წყალთან კონტაქტის შედეგად შესაბამისი პოლიმერიდან მაქსიმალური გამოთავისუფლების სპეციფიკაციის შესაბამისად.

შენიშვნა 4. შემდეგი ცხრა ნივთიერების ჯამი: მონოქლორ-, დიქლორ- და ტრიქლორმმარმჟავა, მონო- და დიბრომმმარმჟავა, ბრომქლორმმარმჟავა, ბრომდიქლორმმარმჟავა, დიბრომქლორმმარმჟავა და ტრიბრომმმარმჟავა.

შენიშვნა 5. სიდიდე მიღწეულ უნდა იქნეს არაუგვიანეს (დირექტივის ძალაში შესვლიდან 10 წელიწადში). ამ დრომდე ტყვიის პარამეტრის სიდიდეა 10 მკგ/ლ.

შენიშვნა 6. ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შემდეგი პირობის შესრულება  $[ნიტრატი]/50 + [ნიტრიტი]/3 \leq 1$ , სადაც კვადრატულ ფრჩხილებში მოცემულია ნიტრატის (NO<sub>3</sub>) და ნიტრიტის (NO<sub>2</sub>) კონცენტრაცია მკგ/ლ-ში, ხოლო წყლის გამწმენდი ნაგებობების ჩამდინარე წყალში - ნიტრიტების კონცენტრაციის 0,10 მკგ/ლ სიდიდე.

შენიშვნა 7. იხ. შენიშვნა 6.

შენიშვნა 8. პესტიციდები ნიშნავს: ორგანულ ინსექტიციდებს, ორგანულ ჰერბიციდებს, ორგანულ ფუნგიციდებს, ორგანულ ნემატოციდებს, ორგანულ აკარიციდებს, ორგანულ ალგიციდებს, ორგანულ როდენტიციდებს, ორგანულ სლიმიციდებს, მათთან დაკავშირებულ პროდუქტებს (მათ შორის, ზრდის რეგულატორებს) და შესაბამის მეტაბოლოტებს (ევროკავშირის რეგულაცია 1107/2009-ის მუხლი 3(32)-ის შესაბამისად).

პარამეტრის სიდიდე თითოეულ პესტიციდს ეხება.

ალდრინის, დიელდრინის, ჰეპტაქლორის და ჰეპტაქლორ ეპოქსიდის შემთხვევაში პარამეტრის სიდიდეა 0,030 მკგ/ლ.

შენიშვნა 9. 'პესტიციდები — ჯამური' აღნიშნავს მონიტორინგის პროცედურით გამოვლენილი და რაოდენობრივად შეფასებული ზემოთ განსაზღვრული პესტიციდების ჯამს.

შენიშვნა 10. 'PFAS' აღნიშნავს კონკრეტულ პერ- და პოლიფტორალკილ ნივთიერებებს (ქიმიური ფორმულა: C<sub>n</sub>F<sub>2n+1</sub>-R).

შენიშვნა 11. 'PFAS' ჯამური აღნიშნავს პერ- და პოლიფტორალკილ ნივთიერებების ჯამს (ქიმიური ფორმულა:  $C_nF_{2n+1}-R$ ).

შენიშვნა 12. შემდეგი ნაერთების კონცენტრაციების ჯამი: ბენზ(ბ)ფლუორანთენი, ბენზ(კ)ფლუორანთენი, ბენზ(ghi)პერილენი და ინდენ(1,2,3-cd)პირენი.

შენიშვნა 13. კონკრეტული პარამეტრების კონცენტრაციების ჯამი.

შენიშვნა 14. შემდეგი კონკრეტული ნაერთების კონცენტრაციების ჯამი: ქლოროფორმი, ბრომოფორმი, დიბრომქლორომეთანი, ბრომდიბრომქლორომეთანი.

შენიშვნა 15. პარამეტრის ეს სიდიდე ეხება წყალში მონომერის ნარჩენ კონცენტრაციას, გამოანგარიშებულს წყალთან კონტაქტის შედეგად შესაბამისი პოლიმერიდან მაქსიმალური გამოთავისუფლების სპეციფიკაციის შესაბამისად.

## დანართი 3. „წყლის ჩარჩო დირექტივის“ დანართი, რომელიც ეხება დაცულ ტერიტორიებს

### დანართი IV

#### დაცული ტერიტორიები

1. მუხლი 6-ის თანახმად სავალდებულო დაცული ტერიტორიების რეესტრში უნდა შევიდეს შემდეგი სახის დაცული ტერიტორიები:

(i) მუხლი 7-ის შესაბამისად ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი წყალაღების ტერიტორიები;

(ii) ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე წყლის სახეობების დაცვისთვის განკუთვნილი ტერიტორიები;

(iii) რეკრეაციისთვის განკუთვნილი წყლის ობიექტები, დირექტივა 76/160/EEC-ის შესაბამისად საბანაო წყლის ობიექტებად განსაზღვრული ტერიტორიების ჩათვლით;

(iv) ნუტრიენტების მიმართ მგრძობიარე ტერიტორიები, მათ შორის დირექტივა 91/676/EEC-ის თანახმად განსაზღვრული მოწყვლადი ზონები და დირექტივა 91/271/EEC-ის თანახმად განსაზღვრული მგრძობიარე ტერიტორიები; და

(v) ჰაბიტატების ან სახეობების დასაცავად განკუთვნილი ტერიტორიები, სადაც წყლის სტატუსის შენარჩუნება ან გაუმჯობესება მათი დაცვისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, დირექტივა 92/43/EEC-ის და დირექტივა 79/409/EEC-ის მიხედვით განსაზღვრული Natura 2000 შესაბამისი უბნების ჩათვლით.

2. რეესტრის რეზიუმე, რომელიც მდინარის სააუზო მართვის გეგმის ნაწილს წარმოადგენს, უნდა შეიცავდეს რუკებს, რომლებზეც აღნიშნული იქნება დაცული ტერიტორიების ადგილმდებარეობა და ასევე ევროკავშირის, ეროვნული ან ადგილობრივი კანონების აღწერას, რომლის საფუძველზეც არის განსაზღვრული აღნიშნული დაცული ტერიტორიები.

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი „მმართველობა  
განვითარებისათვის“

„დელოიტ კონსალტინგი“

მისამართი: თბილისი, ლ. მიქელაძის

ტელ.: +995 322 240115 / 16

ელ.ფოსტა: [info@g4g.ge](mailto:info@g4g.ge)